ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ხუთშაბათი, 1 ივნისი, 2017 №128 (7363) ფასი: 50 თეთრი

## რომან გოცირიძე: „საჭიროა მეორე რევოლუციური ტალღა“



ვინ იქნება ნაციონალების კანდიდატი თბილისის მერის პოსტზე გვ.2

1 ივნისიდან

ონორე დე ბალზაკი

გამქრალი ოცნებანი

წიგნი I



ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

# ნიკა გვარამია თანამდებობას ტოვებს?



გვ.2

„რუსთავი 2“-დან ასამდე თანამშრომელი გაათავისუფლეს

# კალაძე თუ ღარიბაშვილი? ივანიშვილი მერობის კანდიდატს არჩევს





„ყოფილი პრემიერი „ოცნებასთან“ ამ თემაზე არ საუბრობს. როგორც კი მერობის კანდიდატს ახსენებენ, სხვა საკითხზე გადააქვს საუბარი“ გვ.5

## ლევან ბერძენიშვილი: „საპატრიარქო ტახტისთვის ბრძოლა წესების გარეშე მიდის“



გვ.4

## რატომ შეცვალეს პატრიარქის დაცვის უფროსი

„რამდენიმე მაღალი იერარქიის სასულიერო პირს დააკავებენ“ გვ.3



ISSN 1987-9385

## თბილისში შვიდმა მოსწავლემ სხეულზე თვითდაზიანება მიიყენა

გვ.2




## აზერბაიჯანელ ჟურნალისტ აფგან მუხტარლის სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეეფარდა

გვ.2



# რომან გოცირიძე: „საჭიროა მეორე რევოლუციური ტალღა“

## ვინ იქნება ნაციონალების კანდიდატი თბილისის მერის პოსტზე

ნონა ცაბაძე

პარტიებმა ადგილობრივი არჩევნებისთვის სამზადისი უკვე დაიწყეს. დასახელდა რამდენიმე კანდიდატი. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ნაციონალები ნიკა რურუას დაასახელებენ. ამ ინფორმაციას ჩვენთან საუბარში უარყოფს თავად ნიკა რურუა და აცხადებს, რომ მის კანდიდატურაზე საუბარი არ მიდის.



***– ბატონო ნიკა, საუბარია, რომ თქვენ იქნებით ნაციონალური მოძრაობის მერობის კანდიდატი თბილისში. ასეა?***

– არა, არა, ეს ტყუილი ინფორმაციაა. ეს სიმართლეს არ შეესაბამება.

***– მაშინ ვინ იქნება თქვენი კანდიდატი? იქნებ გაგვიმხილოთ?***

– ჯერ არ მიგვიღია საბოლოო გადაწყვეტილება, მოდით, სიურპრიზს ნუ გავაფუჭებთ და მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ.

ნიკა რურუას კატეგორიული უარის მიუხედავად, რომან გოცირიძემ ჩვენთან საუბარში დაადასტურა, რომ რურუა ერთ-ერთ კანდიდატად ნამდვილად განიხილება, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღიათ.

***– ბატონო რომან, პარტიებმა გამსხვილება დაიწყეს. ასევე დასახელდნენ მერობის კანდიდატებიც. რას აპირებს ნაციონალური მოძრაობა, ვინ იქნება თქვენი კანდიდატი?***

– ჩვენ ვემზადებით ინტენსიურად, ყველა რაიონში შერჩეული გვყავს კანდიდატურები. ამ თვის განმავლობაში დავასახელებთ თბილისის მერობის კანდიდატსაც.

***– ითქვა, რომ ნიკა რურუა იქნებოდა თქვენი მერობის კანდიდატი, თუმცა მან ჩვენთან საუბარში ეს ინფორმაცია უარყო. განიხილებოდა მისი კანდიდატურა?***

– რამდენიმე კანდიდატურა განიხილება, მათ შორის ნიკა რურუასიც და გადაწყვეტილებას მივიღებთ იმის მიხედვით, თუ როგორ ჩამოყალიბდება საბოლოოდ საარჩევნო კონიუნქტურა. საზოგადოება ძალიან მალე გაიგებს ჩვენს კანდიდატურასაც.

***– იგეგმება რომელიმე პარტიასთან ალიანსი?***

– ჯერჯერობით მსგავსი გადაწყვეტილება მიღებული არ არის, თუმცა არაფერია გამორიცხული.

***– რისი იმედი აქვს ნაციონალურ მოძრაობას, შეძლებთ დაუპირისპირდეთ ხელისუფლებას?***

– დღეს საქართველო არის დაპყრობილი ფორმალური მმართველის მიერ. ჩვენ ვხედავთ, თუ რა საშინელებები ხდება სასამართლო სისტემაში. პირდაპირ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს სასამართლო სისტემას დაეპატრონნენ ეშმაკები.

***– რომლებიც წინა ხელისუფლების სახეები იყვნენ.***

– ეს არაფერს ცვლის და დამამთავრებინეთ. ამ ყველაფერს დამატებული ის, რომ მოხდა მეოთხე ხელისუფლებაზე კონტროლის დამყარება, საპრეზიდენტო ინსტიტუტიც უქმდება. ამას დამატებული უზარმაზარი ფული, რომელიც არის ქვეყანაში როგორც ადმინისტრაციული რესურსის სახით, ასევე ივანიშვილის მილიონების სახით და საბოლოოდ იკრიბება სურათი, რომ ეს ხელისუფლება ემზადება ამ ქვეყანაში სამუდამოდ დასარჩენად. არ არის ეკონომიკური ზრდა, ჩვენ განწირული ვართ სიღარიბისთვის. არჩევნებში კრიმინალები იყო გამოყენებული.

***– რომელ არჩევნებში?***

– 2016 წლის. რუსეთიდან ეს ძველი ქურდობა აქაურ ქურდობას მითითებებს აძლევდა და იმუშავა ამ ქუჩის ბიჭობამ და ხელისუფლებამ მთელი ხმები თავად წაიღო.

***– როგორ აპირებთ დაუპირისპირდეთ სახელისუფლო კანდიდატს, საუბარია, რომ თბილისის მერობის კანდიდატი კახა კალაძე იქნება. აქვს ნაციონალურ მოძრაობას ამის რესურსი?***

– უნდა გაიშალოს ერთიანი ოპოზიციური ფრონტი. ჩვენ გვეყოლება ძლიერი კანდიდატი და ვფიქრობთ, რომ საჭირო გახდება მეორე ტური და სახელისუფლო კანდიდატი და ჩვენი კანდიდატი როდესაც მეორე ტურში გავლენ, იმედი გვაქვს, რომ ყველა ოპოზიციური პარტია შეკრავს ალიანსს და ამით ჩვენ დავამარცხებთ თბილისში მმართველ ხელისუფლებას.

***– არის შანსი ერთიანი ოპოზიციური კანდიდატის წამოყენების?***

– არა მგონია, პირველ ეტაპზე ერთიანი ოპოზიციური კანდიდატის წარდგენა შეძლოს ოპოზიციამ, მაგრამ მეორე ტურში ჩვენ იმედი გვაქვს, როდესაც პირისპირ დავრჩებით ხელისუფლების კანდიდატთან, მთელი საზოგადოების კონსოლიდაცია მოხდება ჩვენ ირგვლივ.

***– ევროპულმა საქართველომ ელენე ხოშტარიას კანდიდატურა წამოაყენა, რამდენად არის ის თქვენთვის სერიოზული მეტოქე?***

– ჩვენ უკვე ვიცით რამდენიმე კანდიდატურა, იგივე ევროპული საქართველოდან, ასევე რესპუბლიკელებმა და თავისუფალმა დემოკრატებმა ფაქტიურად დაასახელეს ელისაშვილის კანდიდატურა.

***– ელისაშვილი ამას არ ადასტურებს.***

– დიახ, იგი უარყოფს, რომ ამ პარტიების წარმომადგენელი იქნება, მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ გარკვეული პარტიები არ აპირებენ საკუთარი კანდიდატურის დასახელებას და სხვას დაუჭერენ მხარს, ამიტომ საინტერესო პროცესებია. თითოეულ ამ კანდიდატს ჩვენ განვიხილავთ ხელისუფლების შემასუსტებელ ფაქტორად და რაც უფრო მეტი ძლიერი კანდიდატი იქნება, უფრო მეტი შანსი ექნება ოპოზიციას, რომ არ მოხდეს ხელისუფლების კანდიდატის გამარჯვება.



***– საუბრისას სასამართლო სისტემა ახსენეთ და ჩემს კითხვასაც არ უპასუხეთ. დღეს სერიოზული პროტესტია საზოგადოებაში, ყველა ის ოდიოზური ფიგურა, ვინც გამოირჩეოდა სააკაშვილის ხელისუფლების დროს, „ოცნებამ“ დაიტოვა სისტემაში და სერიოზულად დააწინაურა. რით ახსნით ამ პროცესს?***

– დიახ, ყველა ოდიოზური ფიგურა, რომელიც გამოირჩეოდა არათუ სააკაშვილის, არამედ შევარდნაძის დროს, დღეს შევარდნაძის დროინდელი ოდიოზური ფიგურები მოხვდნენ საკონსტიტუციო სასამართლოში, მოხვდნენ უზენაეს სასამართლოში.

***– მურუსიძე და ჩინჩალაძე შევარდნაძის დროინდელი მოსამართლეები არიან? მათზე რას იტყვით?***

– არიან მედროვე ადამიანები, რომლებიც ყველა ხელისუფლებას ერგებიან. ასე იყო ნაციონალური მოძრაობის პერიოდშიც. საზოგადოებას იმ პერიოდშიც კი ჰქონდა მათდამი სერიოზული პრეტენზია. ასეთი ოდიოზური ფიგურები ყოველთვის სხდებიან ხელისუფლების ნავში და მათი ამოცანაა, იყვნენ მუდამ ხელისუფლებასთან, მიიღონ ის პრივილეგიები და სიკეთეები, რომლებიც თან ახლავს ხელისუფლებას.

მოსამართლეთა კორპუსზე ახდენს ხელისუფლება გავლენას, მაგრამ თვითონაც სურთ, რომ იყვნენ ამ გავლენის ქვეშ! ისინი მზად არიან ულალატონ პრინციპებს და სინდისს და შეასრულონ ხელისუფლების შეკვეთა. უზენაესი სასამართლოდან დაწყებული, დამთავრებული ქვედა დონის სასამართლოებით, საქართველოში არის სრული კატასტროფა. ერთადერთი გამოსავალი არსებობს.

***– რაში მდგომარეობს ეს გამოსავალი?***

– ეს არის ამ სისტემის სრული პატრულიზაცია. ანუ ის, რაც მოხდა პატრულთან მიმართებაში, როცა 16 ათასი მილიციელი, საბჭოთა გადმონაშთი, გაუშვეს სახლებში და ჩამოყალიბდა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე არაკორუმპირებული და რეფორმატორული სახელმწიფო ძალოვანი სტრუქტურა, პატრულის სახით.

***– წმენდა უნდა მოხდეს სასამართლო სისტემაში?***

– ზუსტად იგივე უნდა განხორციელდეს! ყველა მოსამართლე უნდა წავიდეს სახლში! ზოგს სიცოცხლის ბოლომდე აქვს მოსამართლეობის მანტია ნაბოძები და ჰგონიათ, რომ ასე დარჩება მთელი ცხოვრება.

ეს ხელისუფლება შეიცვლება და მოხდება რადიკალური ცვლილება სასამართლო სისტემაში! ამ რეფორმის გარეშე საქართველოს განვითარების შანსი არა აქვს. უნდა დაიმსხვრეს და დაიწყოს ნულიდან. დღეს ორჯერ მეტი მოსამართლე უნდა იყოს ამ სისტემაში, ათასობით საქმეა განუხილავი, რატომ არ იზრდება მოსამართლეთა კორპუსი?!

***– საუბარია, რომ ამ ხელისუფლებამ მაქსიმალურად შეინარჩუნა ძველი კადრები სასამართლო სისტემაში. ეს რატომ გააკეთა?***

– ძველი კადრები ყოველთვის იყვნენ მედროვეები, სწორედ ამიტომ არ მოხდა ახალი სახეების წამოწევა. სისტემას აქვს მანკიერი მხარე და ერთ წუმპეში ხარშავს ბევრ ადამიანს. ამიტომ ეს სასამართლო კორპუსი უნდა დაინგრეს. სხვანაირი რეფორმირება არ გამოვა. ეს არის რადიკალური გზა, მაგრამ ისე არაფერი გამოვა.

ვარდების რევოლუციის დროს ჩვენ ერთხელ უკვე გავიარეთ ეს რევოლუციური ცვლილებები და ახლა საჭიროა მეორე რევოლუციური ტალღა! წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველო იქნება ასეთ წუმპეში! ჩვენ ნელ-ნელა ვემსგავსებით ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას. საქართველომ დაკარგა თავისი შარმი, რაც აქამდე ჰქონდა – ახალი ტალღის ევროპული ქვეყანა. მივდივართ ძველი ყაიდის საბჭოთა ქვეყნისაკენ, სადაც არ ხდება ხელისუფლების ცვლა და, სადაც ფორმალური დემოკრატიაა!

# ნიკა გვარამია თანამდებობას ტოვებს?

## „რუსთავი 2“-დან ასამდე თანამშრომელი გაათავისუფლეს

**სამაუწყებლო კომპანიის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას ინფორმაციით, კრიზისი კომპანიის ფინანსების რამდენიმეთვიანმა ყადაღამ გამოიწვია.**

სამაუწყებლო კომპანიის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას ინფორმაციით, კრიზისი კომპანიის ფინანსების რამდენიმეთვიანმა ყადაღამ გამოიწვია.



– რეორგანიზაცია ფინანსურმა კრიზისმა გამოიწვია, რამდენიმე თვეა კომპანია ყადაღის რეჟიმშია, არ გვაქვს ხელმისაწვდომობა საბანკო რესურსებთან, შესაბამისად, კრიზისიც მოსალოდნელი იყო. საჭიროა, ხარჯების და შემოსავლების ოპტიმიზაცია, – განაცხადა „ფორტუნასთან“ საუბარში ნიკა გვარამიამ.

ფინანსური კრიზისის მოუგვარებლობის შემთხვევაში ნიკა გვარამია თანამდებობის დატოვებასაც არ გამორიცხავს.

– კრიზისის მოსაგვარებლად გამოვიყენებთ ყველა საშუალებას, ვფიქრობთ სხვადასხვა მიმართულებით, მე ვეცდები ბოლომდე, მაგრამ თუ ადამიანი ვერ შველის სიტუაციას, ობიექტური მიზეზებიც რომ იყოს, არ შეიძლება, ბოლომდე იქ იყოს, – განმარტავს „ფორტუნასთან“ არხის გენერალური დირექტორი.

რაც შეეხება გადაცემებს და საეთერო ბადეს, არხის გენერალური დირექტორის ინფორმაციით, მთავარ საინფორმაციო გამოშვებას „კურიერს“ არანაირი საფრთხე არ ემუქრება. რაც შეეხება გადაცემებს, უკვე დაიხურა ორი – „ეკივოკი“ და „იღბლიანი ბორბალი.“ მოსალოდნელია სხვა გადაცემების დახურვაც.

# თბილისში შვიდმა მოსწავლემ სხეულზე თვითდაზიანება მიიყენა

თბილისის ერთ-ერთი საჯარო სკოლის შვიდი მოსწავლე სხეულზე აღმოჩენილი ნაკაწრების გამო სამართალდამცავებმა გამოკითხეს.

როგორც ცნობილი გახდა, ოთხმა გოგონამ და სამმა ბიჭმა თვითდაზიანებები მიიყენა.

შესაძლოა, ბავშვების მიერ თვითდაზიანების მიყენება ინტერნეტთამაშ „ლურჯ ვეშაპს“ უკავშირდებოდეს. როგორც ერთ-ერთმა პედაგოგმა საზოგადოებრივს განუცხადა, დაზიანებები ბავშვების ხელებზე სკოლის მანდატურმა შენიშნა.

მისივე ინფორმაციით, ბავშვები თამაშში, სავარაუდოდ, უფროსკლასელმა ბიჭმა ჩართო.

# აზერბაიჯანელ ჟურნალისტ აფგან მუხტარლის სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეეფარდა

საბაილსკის რაიონულმა სასამართლომ აზერბაიჯანელ ჟურნალისტ აფგან მუხტარლის სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. ამის შესახებ სააგენტო „თურანი“ ადვოკატ ელჩინ სიდიგოვზე დაყრდნობით იუწყება.



მისი თქმით, მუხტარლის ახალი ბრალდება წარედგინა – ძალის გამოყენებით მესაზღვრის მიმართ წინააღმდეგობის გაწევა.

აზერბაიჯანელი ოპოზიციონერი ჟურნალისტი თბილისში 30 მაისს გაუჩინარდა. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ის აზერბაიჯანში იმყოფება. როგორც თავად აცხადებს, ის საცხოვრებელ სახლთან უცნობმა პირებმა დააკავეს, სცემეს და ბაქოში წაიყვანეს. მისივე მტკიცებით, პირებმა, რომლებიც, სავარაუდოდ, სპეცსამსახურების წარმომადგენლები იყვნენ, თანხაც ჩაუდეს.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რატომ შეცვალეს პატრიარქის დაცვის უფროსი

## „რამდენიმე მაღალი იერარქიის სასულიერო პირს დააკავებენ“

შორენა მარსაგიშვილი

საპატრიარქოს გარშემო ახალ-ახალი სკანდალები არ ცხრება. ჭყონდიდელი მიტროპოლიტი მის დაკავებას არ გამორიცხავს. ამასთან ამბობს, რომ პატრიარქი საფრთხეშია. მისი მტკიცებით, ილია II-ს ერთგულ ხალხს აშორებენ. მეუფეს შემაშფოთებლად მიაჩნია, რომ თანამდებობიდან გაუშვეს პატრიარქის დაცვის სამსახურის უფროსი ზურაბ ბუჩუკური.



ბუჩუკური სამსახურიდან 30 მაისს წავიდა. კულუარებში ამბობენ, რომ ის მეუფე პეტრესთან ახლობლობის გამო გაათავისუფლეს. ბუჩუკური მეუფე პეტრეს სტიქაროსანი იყო, როცა ის ხევისა და სტეფანწმინდის ეპარქიაში მსახურობდა. საპატრიარქოში თავად პატრიარქმა გადმოიყვანა, სადაც სოსო ოხანაშვილთან ერთად პატრიარქის დაცვის სამსახური ჩამოაყალიბეს.

მეუფე პეტრე ამბობს, რომ თავის დროზე სერიოზული შეცდომა იქნა დაშვებული, როცა პატრიარქის დაცვის სამსახური ჯერ შსს-ს, ხოლო ახლა სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს დაუქვემდებარეს.



– ეს ძალიან მაგონებს ჩვენს მეზობელ ქვეყანას, სადაც პატრიარქს სახელმწიფო დაცვის სამსახური იცავს. 2008 წელს რუსეთის პატრიარქი აბანოში დაიღუპა. ოფიციალური ვერსიით, ის წაიქცა და თავი დაარტყა. მას თავის ქალა 2 ადგილზე გქონდა გატეხილი. ამის შესახებ თავად ჩვენს პატრიარქთანაც მისაუბრია, – ამბობს რუსთავი 2-თან საუბარში მიტროპოლიტი.

ზურაბ ბუჩუკურის წასვლამ ბევრი კითხვის ნიშანი გააჩინა. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი ანზორ ჩუბინიძე ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ხედავს.

მისი თქმით, აღნიშნული ცვლილება როტაციას უკავშირდება და ბუჩუკური სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის რიგებში მუშაობას გააგრძელებს.

– პატრიარქის დაცვის უფროსის ცვლილებასთან დაკავშირებით კონსულტაციები უკვე გაიმართა. მე კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, რომ ეს ჩვეული ფორმაა. დაცვის სამსახურს აქვს მუშაობის პერიოდი, გადამზადების პერიოდი, დასვენების პერიოდი. გთხოვთ, ამაზე აჟიოტაჟს ნუ ატეხთ. არ მინდა, ზურაბ ბუჩუკურს ჩრდილი მიადგეს. ის არის ძალიან კეთილსინდისიერი, სწორი გზა განვლო და უკვე გარკვეულ თანამდებობაზე მოიაზრება, – განაცხადა ჩუბინიძემ.

მისი თქმით, დაცვის უფროსის თანამდებობაზე რამდენიმე კანდიდატურა მოიაზრება და საბოლოო გადაწყვეტილებას პატრიარქი მიიღებს.

ამ თემაზე ჩუბინიძე გუშინ, 31 მაისს, პირადად პატრიარქსაც ესაუბრა.



საინტერესოა, ეს როტაცია რატომ დაემთხვა საპატრიარქოს იურისტის ედიშერ ქარჩავას განცხადებას, რომელმაც მეუფე პეტრე არაერთხელ დაადანაშაულა პატრიარქის მოკვდინების მცდელობაში.

ქარჩავა, როგორც თავად ამბობს, მტკიცებულებებსაც ფლობს. მათ გადაცემას წმინდა სინოდისთვის აპირებს. მთავარი პროკურორი ირაკლი შოთაძე ამბობს, რომ საპატრიარქოს იურისტის მიერ გაკეთებული ყველა განცხადება შესწავლილი იქნება.

– ედიშერ ქარჩავა დაიკითხა. რა თქმა უნდა, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ყველა ინფორმაცია და ყველა ინფორმაციას გადავამოწმებთ, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში შოთაძემ.

### საით მიდის კვალი?

ციანიდის საქმეზე მაღალი რანგის სასულიერო პირების დაკავებას არ გამორიცხავს უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე.

„ახალ თაობასთან“ საუბარში ის ამბობს, რომ არა პროკურატურის ფრთხილი მოქმედებები, ეს საქმე შესაძლოა უკვე ბოლომდე ყოფილიყო გახსნილი. პროკურატურის სიფრთხილეს ის საპატრიარქოს იმიჯზე ზრუნვით ხსნის.

დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, თეოლოგი გიგლა ბარამიძე კი ამბობს, რომ მოქმედმა ხელისუფლებამ გააკეთა ის, რაც ნაციონალებმა და კომუნისტებმა ვერ გაბედეს.

– საპატრიარქოს გარშემო სკანდალური ფორმის შექმნა ხელისუფლების ინტერესებშია. ამით მათ თავიანთი წარუმატებლობების გადაფარვა სურთ. საპატრიარქოს ვექილის ხმაურიანი განცხადებების შემდეგ აღარც ფარცხალაძე-თირდიას ინციდენტი ახსოვს ვინმეს და არც ის, რომ ხელისუფლება ცდილობს, მიწების უცხოელებზე გასხვისება დააკანონოს, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში ბარამიძე.

ის დარწმუნებულია, რომ საპატრიარქოს წინააღმდეგ ოპერაცია ქვეყნის ფარგლებს გარეთ დაიგეგმა.

ამ მოსაზრებას იზიარებს მჟავანაძეც და ის თითქმის დარწმუნებულია, რომ ამაში ყოფილი ხელისუფლების ხელიც ურევია. ის ამ საქმეზე მაღალი რანგის სასულიერო პირების დაკავებასაც არ გამორიცხავს.

– არ გამოვრიცხავ, რომ ამ საქმეში სასულიერო პირების გარდა, საერო პირებიც იყვნენ ჩართული. კარგი გააკეთა პროკურატურამ, რომ თანამზრახველების გამოსავლენად ცალკე გამოყო საქმე. დარწმუნებული ვარ, რომ აუცილებლად მოხდება იმათი გამოვლენა, ვინც ამ საქმეში მონაწილეობდა, – ამბობს მჟავანაძე.

ის დარწმუნებით აცხადებს, რომ ამ საქმეში მარტო დეკანოზი გიორგი მამალაძე არ არის გარეული. ამის თქმის საბაბს მას რამდენიმე გარემოება აძლევს. ერთ-ერთი გარემოება პროკურატურის ხელთ არსებული მტკიცებულებებია.

ამ მტკიცებულებებით კი შემდეგი დასკვნა გამოაქვს:

– ამ ჩანაწერებში, რომელიც პროკურატურამ წარმოადგინა, დეკანოზი გიორგი მამალაძე არაერთხელ ახსენებს სიტყვას ჩვენ. ის აშკარად რაღაც დაჯგუფებაზე საუბრობს. ამ დაჯგუფების წევრები აუცილებლად იქნებიან გამოვლენილი. საპატრიარქოს რომ არ ეხებოდეს ეს ყველაფერი, საქმე უკვე გახსნილი იქნებოდა. საგამოძიებო უწყებამ იცის, რაც მოჰყვება სასულიერო პირების დაკავებას და ამიტომაც იჩენენ მაქსიმალურ სიფრთხილეს. არაა გამორიცხული, რამდენიმე მაღალი რანგის სასულიერო პირი დააკავონ.

უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარის ეჭვებს ადვოკატების ქმედებაც აძლიერებს. მას ყოფილი ხელისუფლების აქტიურობაც უკვირს.

– თავად ადვოკატი ვარ და ადვოკატებზე ასეთ რამეს არ უნდა ვამბობდე, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი მამალაძეს კი არ იცავენ, არამედ იმ პირებს იცავენ, სადამდეც არ უნდა მივიდეს საქმე. ნაციონალები თავად უპირისპირდებოდნენ ეკლესიას და ახლა უცბად მამა გიორგის დამცველებად მოგვევლინნენ. ეს სერიოზულ ეჭვებს აჩენს. ისევე, როგორც უჩა ნანუაშვილის მივარდნა სასამართლო პროცესზე. მან ლამისაა ბავშვებს ეკლესიაში სანთლების ანთება აუკრძალოს და ახლა უცბად სასულიერო პირით დაინტერესდა? – კითხულობს მჟავანაძე.

მას აინტერესებს, თუ რატომ ჰქონდა ასეთი რეაქცია მეუფე პეტრეს დეკანოზ გიორგი მამალაძის დაკავებაზე:

– საპატიმროებში საკმაოდ არიან სასულიერო პირები. მათ სხვადასხვა საქმეზე ედებათ ბრალი. მათი დანაშაული თუ დაიჯერა, რატომ არ სჯერა, რომ გიორგი მამალაძეც დამნაშავეა.

მჟავანაძე ვარაუდობს, რომ ციანიდის საქმეში დაკავებულ დეკანოზს მხოლოდ პაიკის ფუნქცია ჰქონდა შესასრულებელი. მისი თქმით, თუ მამა გიორგი თანამზრახველებს დაასახელებს, ის შესაძლოა გაათავისუფლონ.

– მას ახლა არწმუნებენ, რომ დუმილი შეინარჩუნოს. ეუბნებიან, რომ წამებულის იმიჯს შეუქმნიან და რამდენიმე წელიწადში მას პატრიარქი შეიწყალებს. მას პატრიარქი ვერ შეიწყალებს. უწმინდესს მხოლოდ რეკომენდაციის გაწევა შეუძლია. გიორგი მამალაძეს თუ გარეთ გამოსვლა სურს, თანამზრახველები უნდა დაასახელოს, – მიაჩნია უფლებადამცველს.

მეუფე პეტრეს მსგავსად, ისიც ფიქრობს, რომ გარკვეული ძალები ცდილობენ, პატრიარქს ერთგული ხალხი ჩამოაშორონ. ოღონდ ის ერთგულ ხალხში შორენა თეთრუაშვილს და მეუფე იაკობს გულისხმობს.

– შორენა თეთრუაშვილი ყინწვისის ანგელოზი არაა, მაგრამ ის ნამდვილად პატრიარქის ერთგულია. ის მის დაცვას ცდილობს, კლდესავით არის გადაფარებული და ამიტომ ებრძვიან ასეთი ბინძური მეთოდებით. მეუფე იაკობიც მისი ერთგულების გამო არ მოსწონთ, – აცხადებს მჟავანაძე.

მისი თქმით, ყოფილი ხელისუფლების აქტიურობა სერიოზულ ეჭვებს აჩენს. ის საგამოძიებო უწყებას მოუწოდებს, რომ ამ საკითხითაც დაინტერესდეს.



მას მეუფე პეტრეს პოლიტიკური განცხადებებიც აეჭვებს:

– სასულიერო პირებზე განცხადების გაკეთებას ყოველთვის ვერიდებოდი, მაგრამ მეუფე პეტრე უკვე პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებს და პარტიის ლიდერივით ლაპარაკობს. მისი მხრიდან არაფორმალურ მმართველობაზე საუბარი უხერხულია. ამ ადამიანს მაშინ არ ამოუღია ხმა, როცა ნაციონალებმა ქვეყანა სისხლში ჩაახრჩვეს. სულხან მოლაშვილის მეგობრად თვლიდა თავს და მის დასაცავად ხმა არ ამოუღია.

სამაგიეროდ, ახლა ლაპარაკობს არაფორმალურ მმართველობაზე და იცავს გიორგი მამალაძეს. არ გამოვრიცხავ, რომ ამის უკან ნაციონალები დგანან. მეუფე პეტრე მათი დიდი მეგობარია.

### ახალი რუის-ურბნისის კრება და სინოდალური მმართველობა

ბოლო დროს საპატრიარქოს გარშემო განვითარებული მოვლენები სერიოზულ ეჭვებს აჩენს. გიგლა ბარამიძე არ გამორიცხავს, რომ ხელისუფლებაში არიან ძალები, რომლებსაც ეკლესიის მაღალი რეიტინგი ნერვებს უშლის.

მისივე თქმით, ეკლესიის დასუსტება აუცილებლად იმოქმედებს ქართულ სახელმწიფოებრიობაზე. აქედან გამომდინარე ბარამიძე ვარაუდობს, რომ ამ პროცესის უკან უცხო ქვეყნების ინტერესებიც იკვეთება.

– მართალია, ეკლესია ყოველთვის გამოყოფილი იყო სახელმწიფოსგან, მაგრამ ეს ორი მაინც ძლიერად იყო ერთმანეთზე გადაჯაჭვული. ჩვენი სახელმწიფოებრიობის ხერხემალი სწორედ მართლმადიდებლობა იყო. ამიტომაც ცდილობენ, როგორმე დაასუსტონ ჩვენი ეკლესია. სამწუხაროდ, ამაში ხელისუფლების წარმომადგენლებიც აღმოჩნდნენ ჩართულები, – ამბობს თეოლოგი.

მისი თქმით, ისტორიას ხშირად ახსოვს ფაქტები, როცა სასულიერო პირები საერო ხელისუფლებას უპირისპირდებოდნენ. თუმცა სახელმწიფო ყოველთვის ცდილობდა, ეკლესიას ჩრდილი არ მისდგომოდა.

ამის დასადასტურებლად ის ვახტანგ გორგასლის ისტორიასაც იხსენებს:

– მისი მეფობის დროს ჰერეთის კათოლიკოსმა იერუსალიმიდან მოიწვია სასულიერო პირები, რათა მათი დახმარებით გაეტარებინა ეკლესიაში რეფორმები. მცხეთის კათალიკოსი გაბრაზდა და ვახტანგ გორგასალი დაწყევლა.

ვახტანგ გორგასალს მაშინ დიდი ძალაც ჰქონდა და ავტორიტეტიც. თავისუფლად შეეძლო მისთვის პასუხი მოეთხოვა, მაგრამ ის ეკლესიას უდიდეს პატივს სცემდა. პატივისცემის გამოსახატად ის ეახლა კათალიკოსს, დაუჩოქა და კალთაზე მთხვევა უნდოდა. კათალიკოსმა პასუ-




ხად მას წიხლი ჩაარტყა სახეში. მეფეს 2 კბილი მოსტყდა.

ამ ქმედებისთვის თავისუფლად შეიძლებოდა მისი დატუსაღება, მაგრამ არ გააკეთა. ბიზანტიაში გაამგზავრა ჯარის მცირე ნაწილთან ერთად და იქაურ მმართველს სთხოვა, შენ განსაჯეო. ნდობით აღჭურვილ პირებს სისხლიანი პერანგის ნაწილი და 2 კბილიც გაატანა.

მისი თქმით, ამ მაგალითიდანაც ჩანს, რამხელა მნიშვნელობას ანიჭებდნენ მმართველები ეკლესიას და მასთან დაპირისპირებას ერიდებოდნენ.

ახლა კი პირიქითაა და, როგორც ბარამიძე ამბობს, გარკვეულ ძალებს სურთ, რომ საპატრიარქო არასამთავრობოების დონეზე დაიყვანონ.

ამასთან ის არ იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ საქართველოში სინოდალური მმართველობის წესი დამკვიდრდება.

საპატრიარქოს იურისტის თქმით, საპატრიარქოში არის ხალხი, ვისაც პატრიარქის მმართველობის გაუქმება და სინოდალური მმართველობის შემოღება სურს.

– ასეთი მმართველობა მხოლოდ რუსეთში შემოიღო თავის დროზე პეტრე პირველმა. სინოდალური მმართველობის შემოღება ასეთი მარტივი არ არის. ჯერ ამას სინოდის წევრები არ დათანხმდებიან, რომც დათანხმდნენ, ასეთი მმართველობა მსოფლიო საეკლესიო კრებამაც უნდა ცნოს და კიდევ უამრავი პროცედურაა საჭირო. ასეთ დროს ავტოკეფალიის საკითხიც ეჭვქვეშ დგება.

ასეთი რამე თუ მოხდა, მაშინ ეპარქიები ერთმანეთს არ დაემორჩილებიან. ეკლესია გაიხლიჩება და საპატრიარქო არასამთავრობოს დონეზე დავა. ვიღაცებს ამის დიდი სურვილი აქვს, მაგრამ არ გამოვა, – ამბობს ბარამიძე.

უფლებადამცველი ნიკოლოზ მჟავანაძე მიიჩნევს, რომ ძალიან მალე ეკლესია საეჭვო პირებისგან გაიწმინდება.

– რაც დღეს ხდება, მას როგორ შეიძლება კარგი ეწოდოს, მაგრამ ამასაც აქვს რაღაც დადებითი. ეკლესია მოღალატეებისგან გაიწმინდება, – აცხადებს მჟავანაძე.

❖ ❖ ❖

ეკლესიის გაწმენდის მისიის თავის თავზე აღება სცადა საპატრიარქოს იურისტმა. ქარჩავამ თქვა რომ ანტიპატრიარქისტების მხილებას იწყებდა. ამ დღეებში მან ძალიან ბევრი სკანდალური განცხადება გააკეთა.

მას პატრიარქთანაც სურდა შეხვედრა, მაგრამ უწმინდესმა ის არ მიიღო. ქარჩავა ამბობს, რომ ეს ასე არ არის და ჟურნალისტები არასწორ ინტერპრეტირებას აკეთებენ.

2017, 1 ივნისი, №128

# ლევან ბერძენიშვილი: „საპატრიარქო ტახტისთვის ბრძოლა წესების გარეშე მიდის“

ნათია ხურცილავა

რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ბერძენიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საპატრიარქოში განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.

*— ბატონო ლევან, საპატრიარქოს ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს როგორ აფასებთ, რას უკავშირდება ეს ყველაფერი?*

— მრჩება შთაბეჭდილება, რომ რაც ხდება ჩვენს საზოგადოებაში, რაც ხდება უნივერსიტეტში, რაც ხდება ფეხბურთის ფედერაციაში, ჟურნალისტთა კორპუსში — ჰოი საოცრებავ, თურმე იგივე ხდება საქართველოს საპატრიარქოშიც. როგორი ხალხიც ვართ, ზუსტად ისეთი ვითარება ყოფილა იქ. ადვოკატმა ქარჩავამ მთელ საქართველოს აუხსნა, რომ სიტყვა მოკვდინებაში ხანგრძლივი სიცოცხლე იგულისხმა. თუ ეს ადამიანი არის საპატრიარქოს ადვოკატი, წარმოიდგინეთ, რა რთული სიტუაცია ყოფილა.

*— საპატრიარქოს ადვოკატის იმ განცხადებას გულისხმობთ, როდესაც მან მეუფე პეტრეს ბრალი დასდო პატრიარქის მოკვდინების სურვილში, შემდეგ კი განმარტა, სულიერი მოკვდინება ვიგულისხმეო.*

— დიახ. მიუხედავად იმისა, რომ უფრო მეტი პატივისცემა უნდა გვქონდეს ამ ხალხის მიმართ, ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებს! არ შეიძლება ასეთი მძიმე ბრალდების შემდეგ ქვეშიდან გამოძვრე, ეს სამარცხვინოა. ყველაზე უკეთესი, ვინც კი იქ არის — არის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, ამაში უბრალოდ იოტისოდენა ეჭვიც კი არ მეპარება.

ჩვენ, როგორც სახელმწიფოს, რამდენიმე შეცდომა გვაქვს დაშვებული: პირველი შეცდომაა, რომ ეკლესიას ვაფინანსებთ. ასევე შეცდომაა, რომ არ ვაღიარებთ თანასწორობას. ასევე შეცდომაა, ეპისკოპოსები 10 ცხენის ძალის მქონე ჯიპებით რომ დადიან, ალბათ მალე თავზე გადაგვივლიან. არადა, ქრისტე ქადაგებდა, სიმდიდრე ღატაკებს დაურიგეთო. თუმცა, ვიღაც ფიქრობს, რომ ასეც უნდა ხდებოდეს, სწორედ მისთვის არის შოკი ის, რაც ხდება, თორემ ჩემთვის არანაირი შოკი არ არის.

*— რატომ არ არის შოკი?*

— იმიტომ, რომ მე ბავშვობიდან ვიცოდი, რომ ლეო ტაქსილი, რომლის ნაწერებსაც საბჭოთა კავშირი გამოსცემდა, ძალიან ცუდი კაცი იყო, მას ევროპაში არავინ იცნობს, ის მხოლოდ საბჭოთა კავშირში იყო ცნობილი. მიუხედავად ამისა, რასაც ის წერდა ქრისტიანობის სხვა ნაწილზე, კათოლიციზმზე, ბევრმა წაიკითხა და დაიჯერა, რომ მართლაც ასეა. ასე გვეგონა ჩვენც, რომ ასეთი უცნაურია მოძღვრება, რომ იქ ყველაფერი ცუდად არის და ჩვენთან ყველაფერი კარგად არის. გაირკვა, რომ ჩვენს ეკლესიაში ისეა ყველაფერი, როგორც არის საზოგადოებაში. ვერ შველის მას პატრიარქის მაღალი ავტორიტეტი. ისეთი საუბრები დავიწყეთ, რომ ამ ავტორიტეტს ძალა აკლდება, ვკლავთ. ისე შეიძლება თურმე ეპისკოპოსს დააბრალო პატრიარქის მკვლელობა, ამის სურვილი, რომ შემდეგ განმარტო „მოკვდინებაში“ სიკვდილი არ მიგულისხმიაო.



კანონში წერია, რომ არ შეიძლება ასეთი რამ დააბრალო ადამიანს. შეიძლება გალანძღო ადამიანი, მაგრამ „მოკვლას აპირებს“ დანაშაულში მხილება არის. ამის მერე ის დაიკითხა, როგორც ჩანს, ვერაფერი დაამტკიცა და მორჩა, არაფერი. ალბათ პროკურატურამ ყოჩაღ! — უთხრა. არ გვეყოფა ის, რაც ქართულ პოლიტიკაში ხდება, რასაც ერთმანეთზე ვამბობთ, ახლა ის გვაკლდა, რომ სამღვდელოების ნაწილმა გვითხრას, მე უფრო დიდი მართლმადიდებელი ვარ და ის ნაკლებად!

ცუდია, რასაც ვისმენთ; ცუდია, რომ თურმე მაღალი იერარქები ბიზნესის კეთებით ყოფილან დაკავებულნი; ცუდია, რომ პოლიტიკიდან ფარული ჩანაწერებით შანტაჟი ახლა აქ გადმოვიდა. ახლა მხოლოდ ის გვაკლია, რომ ანაფორა და ფარული ჩანაწერი ერთად ვიხილოთ, ეს უკვე მეტისმეტი იქნებოდა, მაგრამ არის დრო საზოგადოების გამოფხიზლების. ყველამ უნდა იცოდეს, რომ როგორიც არის მეფე, ისეთია ხალხი, როგორიც არის ერი, ისეთი არის ბერი.

*— რეალურად ბრძოლა მიდის საპატრიარქო ტახტისთვის და ეს არის ამ ყველაფრის საფუძველი?*

— რა თქმა უნდა, ბრძოლა მიდის საპატრიარქო ტახტისთვის. ეს ბრძოლა ყოველთვის იყო. თქვენ ფიქრობთ, ილია მეორემ არ იბრძოლა თავის დროზე? სხვა იყო დანიშნული, მაგრამ შევარდნაძემ თქვა, სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ, სწორად დავნიშნეთო. თუ შევარდნაძეს ოდესმე სიმართლე უთქვამს, ამ შემთხვევაში თქვა, მართლაც სწორი გადაწყვეტილება იყო პატრიარქად ილია მეორის შერჩევა.

ბრძოლა ყოველთვის იყო, მაგრამ არსებობს წესები და ეს წესები უნდა დაიცვან. ეს წესები დაწერილი არ არის, მაგრამ წესები არსებობს. საქართველოს პატრიარქი ხელშეუხებელია, შეუვალია დანაშაულზე წასწრების შემთხვევაშიც კი, ჯვარი სწერია, ვის წარმოუდგენია, მაგრამ მაინც, რომ დავუშვათ. საუბარი არის უკონტროლო ძალაუფლებაზე, რომელიც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს არასდროს არ ჰქონია და არც გამოუყენებია.

*— ყველა სოციოლოგიურ გამოკითხვაში პატრიარქის ნდობის რეიტინგი, ასევე ეკლესიის, პირველ ადგილზეა და ძალიან მაღალია. ეს პროცესები ამ მაჩვენებლებში კორექტივს შეიტანს?*

— პირველად ჩვენს ისტორიაში ძალიან სერიოზული რყევაა სწორედ ჩვენი პატრიარქისა და ეკლესიის რეიტინგში. ეს უკვე გამოჩნდა. ეს ის შემთხვევაა, რომელიც არავის უნდა უხაროდეს. იმიტომ კი არ იკლებს, რომ ხალხმა სხვანაირად დაიწყო აზროვნება, იკლებს იმიტომ, რომ გაირკვა, რომ იქაც ჩვეულებრივი ადამიანები არიან. სამღვდელოების ლექსიკაც კი უკვე ძალიან დაემსგავსა 90-იანი წლების დასაწყისის მხედრიონის ლექსიკას, ინტონაციას.

ერთი ეპისკოპოსის საუბარი მახსენდება, რომელმაც თქვა, დიახ, მე ჯიპით უნდა ვიარო, ნივით ვერ ვივლი, რადგან ნივა ხშირად გაფუჭდება და პროფილაქტიკაში მომიწევს ხალხის სულის ხსნის მაგივრად დგომაო. რამდენად არის ეს სამღვდელო პირის საუბარი?! ჯერ კიდევ გოეთემ თქვა: ეპისკოპოსი, რომელიც 6 ცხენით შებმული ეტლით დადის, 6 ცხენით შეგრიალდება ჯოჯოხეთში.

# შორენა თეთრუაშვილი ფლობს უნიკალურ ინფორმაციას ყველა სასულიერო პირზე



თეოლოგი გელასი აროშვილი საპატრიარქოს ირგვლივ განვითარებული მოვლენების შესახებ სოციალურ ქსელში სტატუსს აქვეყნებს.

— შორენას დემონიზირება და მისი ჩამოშორების მცდელობა, ერთგვარი უსამართლობაც კი არის. მძლავრი სისტემა, რომელიც მოგვევლინა დღევანდელი საპატრიარქოს სახით, შორენას აშენებულია.

ამ პროექტის შემსრულებელი პირადად შორენაა. შორენას პირადი დამსახურებაა პატრიარქის კულტის შექმნა, საპატრიარქოში დამყარებული აბსოლუტური მონარქიზმი, საპატრიარქოს მიერ პოლიტიკურ პროცესებზე ზეგავლენის მოპოვება, შემოსავლების და ბიზნესების აღმავლობა და მზარდი დინამიკა, საინფორმაციო სივრცის კონტროლი უიშვიათესი გამონაკლისების გარდა, სიტუაციების შესაბამისი საკადრო გადაადგილებები, შიდა დაჯგუფებათა შორის კონფლიქტების მოგვარება და სისტემისთვის უმტკივნეულოდ მათი ინტერესების დაბალანსება, ურთიერთობა მთავრობებთან და ა.შ. მოკლედ, საპატრიარქოს მთელი საგარეო და საშინაო პოლიტიკის წარმართვა და კორექტირება.

შორენა ფლობს უნიკალურ ინფორმაციას ყველა სასულიერო პირზე და მათ შორის თავად პატრიარქზე, მას შეუძლია ლობირება გაუწიოს ნებისმიერ პროექტს და მიაღებინოს პატრიარქს ნებისმიერი მისთვის სასურველი გადაწყვეტილება. ამიტომაცაა, რომ სისტემა უაღრესად მტკივნეულად რეაგირებს მისი შემქმნელის წინააღმდეგ წამოწყებულ შეტევაზე.

შორენას დისკრედიტაცია, მთელი საპატრიარქოს და პირადად პატრიარქის დისკრედიტაციაა. შორენას წასვლით ან ჩამოშორებით, ჩამოიშლება მთელი სისტემა და დაისადგურებს ქაოსი და ანარქია. და თავად სისტემა იმგვარადაა აწყობილი, რომ შორენას გარეშე უბრალოდ გაჩერდება. ასე რომ, სისტემა და შორენას გვარდია ბოლომდე იბრძოლებს თავისი კონსტრუქტორის და პატრონის დასაცავად. ცხადია, არც ხელისუფლებებს არ აწყობთ მთავარი საამომრჩევლო რესურსის და მათი ლეგიტიმატორის უკონტროლობა და დაქსაქსულობა, აბა რისთვის იხდიან ამხელა ხარკს ცენტრალური თუ ადგილობრივი ბიუჯეტებიდან? — წერს გელასი აროშვილი.

# „პრემიერი ამჯერადაც დაიმალება ალბათ?“

თინა ხიდაშელი აზერბაიჯანელი ჟურნალისტის საქმეს „ფეისბუქის“ საშუალებით ეხმაურება:

— აზერბაიჯანელი ჟურნალისტის საქართველოს ტერიტორიაზე მოპარვა და გადაცემა იმათთვის, ვისაც გამოექცა გულთგონთხართა? განათლების მინისტრისგან, რომელიც ამას აპრავებს, განსაკუთრებით სირცხვილია, განსაკუთრებით ხელისუფლებაში მყოფი ყოფილი უფლებადამცველები რას ამბობენ? საზღვარი უკანონოდ გადმოკვეთაო? საზღვრებზე ყველგან მიმდინარეობს ჩაწერა. იმედია, საძინებლების ვიდეოების ყურებას, საზღვრიდან ვიდეო გვაჩვენეთ, რომ გადიოდა, რომ წინააღმდეგობას უწევდა, რომ დაზიანებები ამ დროს მიიღო, ვიდეო, დაუმონტაჟებელი და რაც შეიძლება სწრაფად, რა სირცხვილია? პრემიერი ამჯერადაც დაიმალება ალბათ? — წერს ხიდაშელი.



# ალექსანდრე ჯეჯელავა: „უნდა გადაამოწმოთ, არის თუ არა აფგან მუხტარლი ჟურნალისტი“

ვიცე-პრემიერი ჯეჯელავა მიიჩნევს, რომ აფგან მუხტარლისთან დაკავშირებით, არასამთავრობოებმა უნდა გადაამოწმონ ინფორმაცია, არის თუ არა ის რეალურად ჟურნალისტი.

— სამწუხაროდ, შევეჩვიეთ, რომ არასამთავრობოები თავის თავზე საგამოძიებო ორგანოს ფუნქციასაც იღებენ და თვლიან, რომ სამ საათში შეუძლიათ გახსნან საქმე და ჭეშმარიტება დაადგინონ. მე მგონია, რომ ეს უბრალოდ არაკომპეტენტურობის ინდიკაციაა. შსს-მ გაავრცელა განცხადება, გუშინვე დაიწყეს მოკვლევა, მათ შორის აქვთ ინფორმაცია აზერბაიჯანელი კოლეგებისგან, რომ ეს ადამიანი უკანონოდ კვეთდა საზღვარს. ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ის ჟურნალისტი იყო, უნდა გადაამოწმოთ. არის ვერსია, რომ ის რადიო „თავისუფლების“ დაცვის თანამშრომელია. გამოძიება დაადგენს რეალობას, სად და რა პირობებში დააკავეს.



პრაქტიკულად, გამოვრიცხავ იმ ვერსიას, რომელიც, სამწუხაროდ, არასამთავრობოებმა პირდაპირ ფაქტად წარმოგვიდგინეს, რომ ეს მოხდა თბილისში და მოხდა ძალადობა. თუმცა, გამოძიება დაწყებულია იმ ბრალდების საფუძველზე, რაც გაჟღერდა. რამდენიმე დღეში ვნახავთ, ზუსტი ინფორმაცია გვექნება, — განაცხადა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

# სალომე სამადაშვილი: „სპეცოპერაცია პრემიერის ნებართვის გარეშე ვერ ჩატარდებოდა“



ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, სალომე სამადაშვილის განცხადებით, აზერბაიჯანელი ჟურნალისტის საქმესთან დაკავშირებით ხელისუფლებაა პასუხისმგებელი. როგორც სამადაშვილმა 31 მაისის ბრიფინგზე განაცხადა, ნებისმიერ შემთხვევაში, რაც არ უნდა მომხდარიყო, ქვეყნის ტერიტორიიდან მოხდა ადამიანის გატაცება, რაზეც უმაღლესი თანამდებობის პირები არიან პასუხისმგებელნი. სამადაშვილის თქმით, მსგავსი სახის სპეცოპერაციები პრემიერ-მინისტრის გარეშე არ ტარდება:

— ჩვენ ვხედავთ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებები იმასთან დაკავშირებით, თუ რეალურად რა მოხდა, სულ უფრო და უფრო ხდება და დღეს აქ, პარლამენტშიც დავინახეთ, რომ უმრავლესობას არ აინტერესებს სიმართლის დადგენა

მიგვაჩნია, რომ ის, რაც მოხდა, არის ნათელი მაგალითი იმისა, რომ საქართველოში ჩამოიშალა უსაფრთხოების და უშიშროების სისტემა, ეს არის პირდაპირ ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი ყველა შემთხვევაში. რეალურად, დღეს საქართველო ბრუნდება იმ ბნელ წარსულში, როდესაც ქუჩიდან ხალხის გატაცება იყო ჩვეულებრივი მოვლენა და ამაზე პასუხი უნდა აგოს დღევანდელმა ხელისუფლებამ...

თუ მის გატაცებაში მონაწილეობდნენ სამართალდამცავი ორგანოები, მაშინ საქმე გვაქვს სისხლის სამართლის დანაშაულთან, რომელიც უნდა იქნას გამოძიებული და დასჯილი და აქ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი სპეცოპერაცია ვერ ჩატარდებოდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილების გარეშე იმიტომ, რომ უმაღლესი პოლიტიკური დონის შეთანხმებას მოითხოვს მსგავსი სპეცოპერაცია, — განაცხადა სალომე სამადაშვილმა

# კალაძე თუ ღარიბაშვილი? ივანიშვილი მერობის კანდიდატს არჩევს

შორენა მარსაგიშვილი

„ქართულ ოცნებას“ თბილისის მერობის კანდიდატი მაისის ბოლოს უნდა დაესახელებინა. ისე მიილია მაისი და ისე დაიწყო ივნისი, რომ კანდიდატურაზე დღემდე მხოლოდ ნახევრად ოფიციალურად საუბრობენ.

როგორც „ოცნების“ კულუარებში ამბობენ, საკითხის გასაოფიციალურებლად ხელისუფლებას ბიძინა ივანიშვილის თანხმობა სჭირდება. ეს უკანასკნელი ამ ეტაპზე დუმილის უფლებას იყენებს.

როგორც „ახალ თაობას“ ხელისუფლებასთან დაახლოებულმა წყარომ განუცხადა, კახა კალაძე თბილისის მერის პოსტზე პარტიამ შეარჩია. თავიდან სასწორი ნარმანიას სასარგებლოდ იხრებოდა, მაგრამ შიდა კვლევებმა დაადასტურა, რომ მოქმედ მერს ძალიან დაბალი რეიტინგი ჰქონდა.

მერობის კანდიდატის შერჩევისას პარტიამ იმის მიხედვითაც იმსჯელა, თუ ვის შეეძლო საკუთარი საარჩევნო კამპანიის დაფინანსება. ივანიშვილი დაფინანსებაზე უარს ამბობს.

ფინანსების მხრივ კალაძეს საქმე კარგად აქვს. სხვებთან შედარებით მისი რეიტინგიც კარგად გამოიყურება. როგორც ამბობენ, ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ მას პრემიერის პოსტის დაკავება სურდა და რაკი ამაზე მკვეთრად უარყოფითი პასუხი მიიღო, მერის თანამდებობაზე დაიწყო ფიქრი.

„ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ მან გარკვეული პირობებიც დააყენა. კერძოდ, საკრებულოში სერიოზული კვოტა მოითხოვა. ცოტა ხნის წინ მას ახალი მოთხოვნა გაუჩნდა. ის



კალაძე ენერგეტიკის მინისტრად თავისი კადრის დანიშვნას ითხოვს

ენერგეტიკის სამინისტროში საკუთარი კაცის მინისტრობას ითხოვს.

საპარლამენტო არჩევნების წინ, ის რამდენიმე თვით ჩამოშორდა მინისტრობას. მინისტრის მოვალეობას მისი მოადგილე ილია ელოშვილი ასრულებდა. ერთ-ერთი ვერსიით, ახლაც მისი კანდიდატურა განიხილება. რამდენად იქნება გამინისტრებული ელოშვილი კალაძის მითითებების შემსრულებელი, ეს სხვა საუბრის თემაა და ამაში, როგორც ამბობენ, ჯერ ისევ მინისტრსაც ეჭვი ეპარება.

ამ თანამდებობაზე მარიამ ვალიშვილის კანდიდატურაც განიხილება. ის მინისტრის მოადგილედ ჯერ კიდევ ნაციონალების დროს მუშაობდა და როგორც ამბობენ, ის თავისი საქმის პროფესიონალია.

„ოცნებაში“ ვარაუდობენ, რომ მერობის კანდიდატის ვინაობას ოფიციალურად ივნისში მაინც დაასახელებენ.

– ბიძინა ივანიშვილი „ოცნებასთან“ ამ თემაზე არ საუბრობს. როგორც კი მერობის კანდიდატს ასახელებენ, სხვა საკითხზე გადააქვს საუბარი. ამათ ეშინიათ, მის გარეშე კალაძის კანდიდატურის დასახელება. არაა გამორიცხული, რომ მას სხვა კანდიდატი ჰყავდეს შერჩეული, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში ხელისუფლებასთან დაახლოებული პირი.

სანამ პარტია კალაძის ივანიშვილთან კომუნიკაციაზე ჯახირობს, მერობის ნახევრად ოფიციალური კანდიდატის მიმართ ახალი კითხვები გაჩნდა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ცნობით, გასულ წელს ენერგეტიკის სამინისტრომ 300.000 ლარზე მეტი საიდუმლოდ დახარჯა.

უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, სარეზერვო ფონდიდან საიდუმლო ხარჯების დიდი ნაწილი ენერგეტიკის სამინისტროს მოხმარდა. 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, გრიფი „საიდუმლო“ 488.424 ლარის ხარჯებს ადევს.

ენერგეტიკის სამინისტროსთვის გამოყოფილი თანხების მოცულობა 373.514 ლარია, რომელიც პრემიერ-მინისტრის 11 ბრძანების შესაბამისად, 2016 წლის განმავლობაში დაიხარჯა.

❖ ❖ ❖

სააგენტო ვექტორი.გე-ს ინფორმაციით კი, კახა კალაძემ 30 მაისს გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა. სააგენტოს ცნობითვე, გადადგომა მერობის კანდიდატად მის დასახელებას უკავშირდება.

გავრცელებული ინფორმაციით, თბილისის მერობის პოსტზე შესაძლოა ირაკლი ღარიბაშვილმაც იყაროს კენჭი.

როგორც „ახალ თაობას“ „ოცნებასთან“ დაახლოებულმა წყარომ განუცხადა, ამ თემაზე მას ბიძინა ივანიშვილი უკვე ესაუბრა და უთხრა, რომ თუ კენჭს იყრიდა, ხელს არ შეუშლიდა.

არაა გამორიცხული, რომ ივანიშვილი სწორედ ამიტომ არ ესაუბრება „ოცნებას“ მერობის კანდიდატზე.

# „საპატრიარქომ ქარჩავა უნდა მოხსნას“

**გასულ კვირას საპატრიარქოს იურისტის ედიშერ ქარჩავას მიერ გაკეთებულ განცხადებას მეუფე პეტრეს მისამართით დიდი გამოხმაურება მოჰყვა. როგორც ქარჩავა აცხადებს, მეუფე პეტრეს სამიზნე საქართველოს პატრიარქია, განცხადებების გაკეთებისას კი იურისტმა არაერთხელ გამოიყენა სიტყვა „მოკვდინება“, საზოგადოებას შეექმნა შთაბეჭდილება, რომ მეუფე პეტრე ცაავა პატრიარქის წინააღმდეგ მოქმედებს.**

– მეუფე პეტრე სულიერ, იდეურ თანადგომას უწევდა იმ ჯგუფს, ვისაც რეალურად პატრიარქის განეიტრალება, მისი შესაძლო მოკვდინება უნდოდა. ამ ჯგუფში შედიან სხვა პიროვნებები. მათი მთავარი მიზანი იყო საპატრიარქოს ტახტის გაუქმება და სინოდალური მმართველობის შემოღება, – განაცხადა გასულ კვირას ქარჩავამ „ნიუპოსტთან“ საუბრისას.

30 მაისს, გადაცემა „არჩევანის“ პირდაპირ ეთერში კი ქარჩავამ აღნიშნა, რომ იგი პატრიარქის სულიერ მოკვდინებას გულისხმობდა საკუთარ განცხადებებში:

– მე შემიძლია დავადასტურო, რომ მეუფე პეტრე, მიუხედავად წმინდა სინოდის გაფრთხილებისა, რომ თავი შეეკავებინა განცხადებებისგან, ეკლესიის ფარგლებს გარეთ გასვლისაგან, მიუხედავად ამისა, დღესაც მეუფე პეტრე განაგრძობს იმ მოქმედებას, რაც მიმართულია პატრიარქისა და საკათალიკოსო ტახტის დაქვრივების წინააღმდეგ, მოკვდინება არის პიროვნების სულიერი განადგურება და ბრალდებების ტირაჟირება, ეს არის ყველაზე უმძიმესი ბრალდება, თუ ვაჟკაცობა ყოფნის, თუ ამბობს, რომ სჯობს სიმართლისთვის დავისაჯო, ვიდრე ტყუილისთვის ვცხონდეო, მაშინ თქვას სულიერ მამას რატომ უპირისპირდება, აქ არის სულიერ მკვლელობაზე საუბარი. მან თამაშგარეთ დამაყენა, ბინძური თამაშების გამო მაიძულა როგორც ადვოკატს მესაუბრა. იძულებული გამხადა და ამიტომ ჩემს თავზე ავიღე ის, რომ მე ამ შემთხვევაში თავს ვიცავ და ეს ბრალდებები წამოვაყენე როგორც რიგითმა ფიზიკურმა პირმა, – განაცხადა ქარჩავამ.

ქარჩავას თქმით, მან მსგავსი განცხადებების გაკეთებაზე პასუხისმგებლობა თავად აიღო და პატრიარქისგან თუ სასულიერო პირებისგან არავითარი კურთხევა არ მიუღია, საპატრიარქო კი მისი გადაწყვეტილების შესახებ, ისაუბროს მეუფე პეტრე ცაავას შესახებ და გააჟღეროს ბრალდებები, საქმის კურსში არ არის.

„ნიუპოსტთან“ საუბრისას თეოლოგი ვლად ნარსია აღნიშნავს, რომ ქარჩავას მიერ ტერმინი „მოკვდინება“ აბსოლუტურად გაუგებარ კონტექსტშია გამოყენებული. საპატრიარქოს იურისტის მიერ მოყვანილი განმარტება და მისი აზრები კი მრავალ შეცდომებს შეიცავს:

– ტერმინი „მოკვდინება“ აბსოლუტურად გაუგებარ კონტექსტშია გამოყენებული, დიახ, არის საინტერესო ტერმინი, მაგრამ მისი მნიშვნელობა უკავშირდება რაღაც ძალისხმევას, რომელიც მიმართულია ადამიანის მიერ საკუთარი შესაძლებლობების თუ ადამიანის ქრისტიანულ მიზნებთან დაახლოების პროცესთან, რომ მან უნდა მოაკვდინოს ვნებები, მოაკვდინოს მანკიერებები, ამ კონტექსტში არის ეს ტერმინი გამოყენებული ქრისტიანულ ლიტერატურაში, მაგრამ მას არანაირი გააზრება არ შეიძლება მიეცეს იმ კონტექსტებში, რომელშიც გამოიყენა ქარჩავამ. მიჩნდებოდა ისეთი აზრი, რომ ვერ ხვდებოდა ეს ადამიანი რას ამბობდა, მაგრამ ეს ტერმინი თავდაპირველად გამოიყენა აბსოლუტურად სხვა კონტექსტში, შემდეგ იგი დაიბარეს, მას მიუთითეს, რომ შესაძლებელი იყო ასეთი ბრალდება მისსავე პასუხისმგებლობასთან ყოფილიყო დაკავშირებული და მან შეცვალა, მოგვიანებით კი მოვისმინეთ ერთგვარი ბოდვა, აბსოლუტურად დაუკავშირებელი აზრები, თითქოს დასრულებული აზრი ერთ წინადადებაშიც არ წარმოუთქვამს, არ აქვს მნიშვნელობა მის საუბარს სამართლის პოზიციიდან შევაფასებთ თუ თეოლოგიური მეცნიერების კუთხით. ყველა წინადადება, რომელიც წარმოთქვა ქარჩავამ, შეცდომებს შეიცავდა. საბჭოთა პერიოდშიც არ უკადრებიათ ასეთი რამ, რა სისულელეებიც მან თქვა, რა უნდოდა პეტრე ცაავას კარგად ჰქონდა ყველაფერი აწყობილიო, საბჭოთა მენტალობასაც კი არ ჰქონია ასეთი დამოკიდებულება, ყველაფერი ცხადია მისი ნათქვამიდან, თუ ვინ რეპრეზენტირებს ეკლესიას.

ქარჩავა აღმოჩნდა ადამიანი, რომელიც კიდევ ერთხელ გასწირა შორენა თეთრუაშვილმა, ასეთი დავალება აქვს თეთრუაშვილს ქარჩავასთვის მიცემული, თუნდაც უკიდურესი შეცდომებით, თავიც რომ გაიწიროს, უნდა ილაპარაკოს, რათა საზოგადოებაში რეზონანსი გამოიწვიოს ამ თემებმა, – აღნიშნავს თეოლოგი „ნიუპოსტთან“ საუბრისას.

ვლად ნარსია საკითხის კომენტირებისას განმარტავს პროცედურას, რომელიც უნდა წარიმართოს იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პირს, არ აქვს მნიშვნელობა საეროს თუ სასულიეროს, გააჩნია რაიმე სახის ბრალდება ან ინფორმაცია ეპისკოპოსზე. მისი თქმით, არსებულ ვითარებაში, ქარჩავას განცხადებებისა და ქმედებების ფონზე, ეს პროცედურა აბსოლუტრად დარღვეულია:

– უბრალო ეთიკის საკითხია, მიუხედავად იმისა ადამიანი სასულიერო პირია თუ საერო პირია, იკადრო ასეთი რამ, უნდა იმართლოს ახლა მისი განცხადებების ობიექტმა თავი. სიტყვა „მოკვდინება“ აბსოლუტურად ამოვარდნილია კონტექსტიდან, უშინაარსო და დანაშაულებრივი. მიმაჩნია, რომ სამოქალაქო საზოგადოებაც უნდა იყოს მეტად გამოფხიზლებული ასეთი საკითხების მიმართ და ქარჩავას უნდა მოეთხოვოს ამაზე პასუხი.

ეკლესიას კი ამის უპირველესი ვალდებულება აქვს. როდესაც საუბარი არის ეპისკოპოსზე, მიტროპოლიტზე, მასზე ბრალდებას და მის მიმართ გარკვეული ტიპის ინფორმაციის გავრცელებას გააჩნია თავისი კანონიკური სამართლებრივი პროცედურა. ეს პროცედურა გულისხმობს იმას, რომ ბრალმდებელი ან ინფორმაციის მქონე ნებისმიერი პირი პირველად წარადგენს მის განცხადებას სინოდზე, სინოდის ფორმით ეს განცხადება განიხილება, შემდეგ დაიბარებს სინოდი ბრალდებულს და მასთან ერთად გაარკვევს. შეიძლება მოვითხოვოთ საჯაროდ გახმოვანდეს, მაგრამ ამ საჯარო გახმოვანებას ახლავს ოფიციალური ინსტიტუცია და ეს არის წმინდა სინოდი. ამ შემთხვევაში კი ეს ყველაფერი აბსოლუტურად დარღვეულია.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ შორენა თეთრუაშვილის მითითებით მოქმედებს ედიშერ ქარჩავა, მაგრამ როდესაც ასეთი მაღალი მგრძნობელობის საკითხზეა საუბარი, ეკლესიამ უნდა უარყოს არსებული მოსაზრება და დაადასტუროს, რომ საპატრიარქოს არ მართავს შორენა თეთრუაშვილი და მართავენ ეპისკოპოსები, რომლებსაც ათასგზის გადააბიჯა ქარჩავამ ამ განცხადებებით.



უნდა იქნეს გარკვეული სადამსჯელო სანქცია გამოხატული ეკლესიის მხრიდან, სულ მცირე გათავისუფლდეს ქარჩავა თანამდებობიდან, ან საპატრიარქომ თქვას, რომ არსებობს გარკვეული ტიპის ეკლესიური სანქციები. იმედია, ამგვარი რეაქცია ექნება ეკლესიას, – განმარტავს ვლად ნარსია.

თეოლოგი მიიჩნევს, რომ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს არ აწვდიან სრულ ინფორმაციას, მისი თქმით ილია მეორე იღებს ინფორმაციას იმ დოზით, რა დოზითაც საჭიროდ თვლის მისი მდივან-რეფერანტი შორენა თეთრუაშვილი.

– პატრიარქი რა ინფორმაციას მიიღებს ეს მხოლოდ შორენა თეთრუაშვილზეა დამოკიდებული. შორენა რასაც ჩათვლის საჭიროდ, იმას აწვდის. მითხრეს კიდეც, რომ პატრიარქს არ აყურებინებენ ყველა არხს. მე დარწმუნებული ვარ, რომ მოვლენების სრულ სურათს ვერ აღიქვამს, თორემ, შეუძლებელია სწორი დასკვნა არ გააკეთოს პატრიარქმა. ქარჩავა, როგორც ინსტიტუციის სახე არ შეიძლება იყოს, ეს სირცხვილია, – აღნიშნავს ნარსია.

გადაცემა „არჩევანის“ პირდაპირ ეთერში საუბრისას ჭყონდიდის მიტროპოლიტმა, მეუფე პეტრემ ისაუბრა იმ მიზეზებზე, თუ რატომ გადაწყვიტა მედიასთან ურთიერთობა ე.წ. „ციანიდის საქმესთან“ დაკავშირებით და რატომ აკეთებს სხვადასხვა განცხადებებს. მისი თქმით, საზოგადოებაში დაინახა მოსაზრება, რომ სწორედ მასზე მიჰქონდათ ეჭვი პატრიარქის წინააღმდეგ წასვლასთან დაკავშირებით.

ვლად ნარსიას თქმით, ჭყონდიდის მიტროპოლიტი სწორად მოიქცა, როდესაც საჯაროდ საუბრის გადაწყვეტილება მიიღო, თეოლოგი ასევე მიიჩნევს, რომ არსებული პრობლემების შესახებ გაცილებით ადრე უნდა დაწყებულიყო საუბრები.

ნარსია საუბრობს წმინდა სინოდის განჩინებაზეც და იმ გადაწყვეტილებაზე, რომლის მიხედვითაც მეუფე პეტრე ცაავას ჩამოერთვა საპატრიარქოს ტელევიზიის ხელმძღვანელის თანამდებობა:

– როგორც გაიჟღერებს ხოლმე ქარჩავას მსგავსი ოდიოზური ადამიანების პირით, რომ ეკლესია დახურული ორგანიზაციაა, სიტყვა დემოკრატია არ ერგება ხოლმე ეკლესიას, მაგრამ იგი შეიძლება შეიცვალოს სხვა სიტყვით, რომელიც ტრანსპარანტულობას, გამჭვირვალობას და ღიაობას გულისხმობს, ეკლესია სწორედ ასეთი ინსტიტუციაა, მისი დაფუძნების პირველივე ფორმები მიუთითებს სრულ გამჭირვალებაზე, არაფერი ეკლესიას, რომელიც მიმდინარეობს ქრისტეს მისტიურ სხეულში საიდუმლოებითი არ გააჩნია, გარდა ერთისა, ის რაც ლიტურგიაზე ხდება, ეს სულ სხვა სფეროა. სხვა დანარჩენი, ინფორმაციული მოვლენები და ასე შემდეგ, ნებისმიერი იერარქიის ცხოვრება იქნება ეს, მით უფრო ასეთი ასპექტები, რომლებიც მორალურ-ეთიკურ შეფასებას მოითხოვს საზოგადოებისაგან, დაფარული არ არის. რა თქმა უნდა, პეტრე ცაავა იქცევა სწორად, დღეს უკვე 21-ე საუკუნეში, იმ ეკლესიის, იმ ინსტიტუციის წევრი, რომელსაც მიაჩნია, რომ ეკლესიას პასუხისმგებლობა გააჩნია საზოგადოების მიმართ, რომლის 80 პროცენტზე მეტიც თავს მიაკუთვნებს ამ ორგანიზაციას. მის წინაშე კი დადგა ვალდებულება, რომ ეთქვა ეს ყველაფერი. აქამდეც უნდა თქმულიყო, ყოველგვარი ღიაობით ეს პროცესები უნდა დაწყებულიყო ცოტა უფრო ადრე. ამიტომ, არ არსებობს არავითარი კანონიკურ-სამართლებრივი მიზეზი, რომლითაც მიტროპოლიტს დასჯიან. შეუძლებელია ეს მიზეზი იყოს წარმოდგენილი სასჯელის საფუძვლად. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ ტელევიზიის ხელმძღვანელობა ჩამოართვეს, სრულიად ურთიერთდაუკავშირებელია, ეს იმას ნიშნავს, რომ მღვდელმთავარს ვერ უთხრეს ის თუ რა შეცდომას ჩადიოდა. თუ მღვდელმთავარი ჩადის შეცდომას, ამაზე უნდა მიუთითონ, დგება სპეციალური სანქცია, მათი გამოგონებული წესები ხომ არ არის? მაგრამ ეკლესია რაღაც ისეთი ინერციით მოძრაობს, საბჭოთა პერიოდიდან დღემდე, რომ მისთვის უცხოა ღიაობა და დღეს ისევ ხმარობს ყველა ღონეს, რომ პეტრე ცაავას ან ნებისმიერი ასეთი პირის მსგავსი ქმედებები არ გახშირდეს. სინოდის გადაწყვეტილებით, რა თქმა უნდა, მიტროპოლიტის მღვდელმთავრულ პატივს და წოდებას არაფერი დაკლებია, მაგრამ უკანონო იყო თავად საფუძველი, რასაც ამ საკითხზე ჩვენ ვკითხულობთ სინოდის განჩინებაში, – განმარტავს ვლად ნარსია.

# 2018 წლის მაისიდან ყველა დახურული ტიპის შენობა-ნაგებობაში მოწევა იკრძალება

– 4-წლიანი ბრძოლისა და ომის შემდეგ, როგორც იქნა, მივაღწიეთ იმას, რომ პარლამენტმა დაამტკიცა საკანონმდებლო ინიციატივები, რომლის შესაბამისად, 2018 წლის მაისიდან ყველა დახურული ტიპის შენობა-ნაგებობაში მოწევა იკრძალება, – ამის შესახებ „თამბაქოს კონტროლის ალიანსის“ ხელმძღვანელმა გიორგი ბახტურიძემ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.




გიორგი ბახტურიძემ არსებულ გამონაკლისებზე გაამახვილა ყურადღება და განაცხადა, რომ კაზინოებსა და სიგარა ბარებში მოწევა კონსენსუსის შედეგად მიღწეული გამონაკლისია და წარმოადგენს დროებით ზომებს.

ბახტურიძემ სიგარა ბარებისა და კაზინოების თანამშრომლებს მოუწოდა, რომ მათი შრომითი და ჯანმრთელობის უფლებების დასაცავად მიმართონ „თამბაქოს კონტროლის ალიანსს“.

– 2018 წლის იანვრიდან შემოდის სადა შეფუთვა ანუ ყველა კოლოფი იქნება ერთი ფერის. ასევე მოხდება სიგარეტის რეკლამის პოპულარიზაციის და სპონსორობის სრული აკრძალვა. რაც შეეხება გამონაკლისებს, ეს გახლავთ კაზინოები და სიგარა ბარები. სიგარა ბარები უკვე დაქვემდებარებულია სპეციალიზირებულ ლიცენზიას და ერთ-ერთი პირობა არის ის, რომ სიგარის რეალიზაციიდან შემოსავალი წლის განმავლობაში ბრუნვის მინიმუმ 15% უნდა იყოს. ამავდროულად, სიგარა ბარებში დაშვებული არ იქნება სხვა თამბაქოს ნაწარმის მოხმარება და საკვების მიღება – სიგარა ბარები იქნება მხოლოდ სიგარის მოსაწევად და გარკვეული სასმელის მისაღებად. ამ გამონაკლისის მომხრენი არ ვყოფილვართ, მაგრამ ეს იყო კონსენსუსის საფუძველი. ვფიქრობთ, რომ ეს დროებითი ზომაა და შემდგომში ესეც დაექვემდებარება რეგულაციებს. კაზინოებსა და სიგარა ბარებში დასაქმებულ პირებს მოვუწოდებთ, მათი უფლებების დაცვის თვალსაზრისით მოგვმართონ ჩვენ. მათ შრომით თუ ჯანმრთელობის უფლებებს სასამართლოს გზით დავიცავთ, – განაცხადა გიორგი ბახტურიძემ.

„თამბაქოს კონტროლის ალიანსის“ წარმომადგენელმა კახა ღვინიანიძემ სიგარა ბარებში მოწევის მხრივ გამონაკლისის დაშვებასთან დაკავშირებით განმარტებები გააკეთა და განაცხადა, რომ რესტორნების მფლობელებმა თუ აღნიშნული გამონაკლისი სათავისოდ გამოიყენეს, ალიანსი კანონის გამკაცრებას მოითხოვს.

– თუ ამ დაშვებამ სისტემური ხასიათი მიიღო და ყველა რესტორანში გაჩნდა ასეთი ადგილები, ჩვენ მოვითხოვთ კანონის დაუყოვნებლივ გამკაცრებას, – განაცხადა კახა ღვინიანიძემ.

„თამბაქოს კონტროლის ალიანსის“ ხელმძღვანელებმა მადლობა გადაუხადეს ყველა სამთავრობო სტრუქტურას, რომლებმაც კანონპროექტის დამტკიცებაში მიიღეს მონაწილეობა.

# სახელმწიფო ტენდერში გამარჯვებული კომპანიები 10-12%-მდე შეღავათით ისარგებლებენ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ხელმძღვანელის ლევან რაზმაძის განცხადებით, უკვე მზადდება დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც, ტენდერში გამარჯვებული კომპანია, რომელიც ვალდებულებების შესრულების პროცესში ქართულ პროდუქციას გამოიყენებს, 10-დან 12%-მდე შეღავათით ისარგებლებს.

როგორც „კომერსანტს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ხელმძღვანელმა, ლევან რაზმაძემ განუცხადა, მას შემდეგ, რაც მთავრობა შესაბამის დოკუმენტს გამოსცემს, ქართული კომპანიებისთვის შეღავათის გაწევა შემსყიდველი ორგანიზაციებისთვის სავალდებულო გახდება.

– ეს იქნება კონკრეტული პროცენტული დახმარება, თუმცა აუცილებელი პირობა, რაც არსებობს, ეს არის ტენდერში გამარჯვება. საუბარი იყო 10-12%-ზე, თუმცა ეს ჯერ გადაწყვეტილი არ არის.

იმ შემთხვევაში თუ ტენდერში მოხდება გამარჯვება და მისი მხრიდან იქნება ქართული პროდუქცია შეთავაზებული, შემსყიდველს უფლება ექნება, მას ზედმეტად დაუმატოს ამ პროცენტის ფარგლებში, თუმცა ეს არ უნდა სცდებოდეს იმ ფასს, რა ფასადაც იქნება ტენდერი გამოცხადებული, – აცხადებს ლევან რაზმაძე.




კითხვაზე, 10-12%-იანი შეღავათი ბევრი ხომ არ არის და სახელმწიფო სტრუქტურებს ზედმეტი ხარჯის გაღება ხომ არ მოუწევთ, შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე პასუხობს, რომ ზედა ზღვარი დაწესდება და ზედმეტი ხარჯის გაწევა გამორიცხულია.

– ზედმეტი ხარჯის გაღება არ მოუწევთ. პირიქით, ეს იქნება გვერდში დგომა იმ პროდუქტების მიმართ, რომლებიც კონკურენტუნარიანობის ამაღლებას საჭიროებენ. ზედა ზღვარი არსებობს და ამდენად, ზედმეტი ხარჯი გამორიცხულია.

10-12% არის ზღვარი, ანუ შეღავათი ამას არ უნდა ასცდეს, თორემ შესაძლებელია 3%-იანი ან 5%-იანი შეღავათიც იყოს, – განმარტავს რაზმაძემ.

მისი თქმით, პრეფერენციები სავარაუდოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, სამრეწველო პროდუქტებიდან კი ცემენტს შეეხება. კიდევ რომელი პროდუქტები მოხვდება შეღავათების სისტემაში, მას შემდეგ გახდება ცნობილი, რაზეც მუშაობას შესაბამისი სამთავრობო უწყებები დაასრულებენ.

# კომერციულ ბანკებს არაპროფილური საქმიანობა არაპირდაპირაც აეკრძალებათ




პარლამენტში ინიცირებულია კანონპროექტი, რომელიც კომერციული ბანკების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებს გულისხმობს. პროექტის ავტორი ეროვნული ბანკია.

ცვლილებების თანახმად, კომერციულ ბანკს ეკრძალება პირდაპირ ან არაპირდაპირ ნებისმიერი ოდენობით ფლობდეს წილს იმ იურიდიული პირის კაპიტალში, რომელიც არ არის ფინანსური ინსტიტუტი ან მისი საქმიანობა არ არის დაკავშირებული საბანკო საქმიანობასთან ან ბანკის სოციალურ პროექტებთან.

– აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად დილინგური ოპერაციების განხორციელებისათვის განკუთვნილ ფასიან ქაღალდებზე.

კომერციულმა ბანკმა საქართველოს ფარგლებს გარეთ ინვესტიციების განხორციელებისას ეროვნულ ბანკს უნდა დაუსაბუთოს, რომ ინვესტიციების განხორციელების ქვეყნის კანონმდებლობა არ ზღუდავს ეროვნული ბანკის მხრიდან ეფექტიანი ზედამხედველობის განხორციელების, მათ შორის, შესაბამის საზედამხედველო ორგანოებს შორის ინფორმაციის მიმოცვლის შესაძლებლობას, – ვკითხულობთ კანონპროექტში.

# „ბანკი ბიზნესის ფინანსური ზურგი უნდა იყოს, თუმცა ის დღეს ბიზნესის კონკურენტია“

– დღეს ბიზნესისთვის ერთადერთი პრობლემა ბანკების კონკურენციაა, – განაცხადა გადაცემაში „საქმის კურსი“ კომპანია პსპ-ს დამფუძნებელმა და საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა კახა ოქრიაშვილმა. მისი თქმით, როდესაც ბანკები არაპროფილურ ბიზნესში შედიან, იზღუდება კონკურენცია.

– ბანკები დღეს ყველა დარგის ბიზნესის კონკურენტები არიან, აქედან გამომდინარე ჩვენ გვაქვს დაბალი ეკონომიკური ზრდა, რადგან ბიზნესს არ აქვს ფინანსური ზურგი, ბანკი უნდა იყოს ფინანსური ზურგი, თუმცა ის არის ბიზნესის კონკურენტი.




ჩვენ გვაქვს საუკეთესო მდგომარეობა სხვადასხვა რეიტინგებში, ერთადერთი პრობლემა, რაც დღეს დარჩა ბიზნესისთვის, ეს არის ბანკების კონკურენცია ბიზნესის მიმართ და ეს უნდა მოიხსნას, – ამბობს ოქრიაშვილი.

მისი თქმით, ქართული საფინანსო სექტორი მცირე ზომისაა და ბაზარზე 2-3 მსხვილი ბანკის არსებობა საკმარისია.

– ჩვენი ფინანსური ბაზარი პატარაა და ვთვლი, რომ ჯობია იყოს ცოტა და ძლიერი ბანკი, ვიდრე ბევრი და სუსტი, მაგრამ უნდა იყოს შესაბამისი რეგულაციები.

საქართველოს ჯამური ხელფასის 30%-მდე მიდის საბანკო სესხების პროცენტების გადახდაზე, როდესაც საშემოსავლო გადასახადი 20%-ია. გვაქვს ბევრი პრობლემა და ახალმა კანონპროექტმა ამ გამოწვევებს უნდა უპასუხოს.

ბანკები დღეს მდიდრდებიან, მოსახლეობა და ბიზნესი ღარიბდება, – განაცხადა ოქრიაშვილმა გადაცემაში „საქმის კურსი“.

ბი პი ექსპლორეიშნ (კასპიის ზღვა) საქართველო გეგმავს გამოაცხადოს ტენდერი საგზაო ტრანსპორტის მართვის მომსახურების გაწევაზე:

bp

- პროფესიული მძღოლების მოწოდება, ტრეინინგებისა და კომპეტენციის შეფასების უზრუნველყოფა
- ავტოტრანსპორტით მომსახურება და/ან ქირავნობა ქალაქის მასშტაბით, დიდ მანძილებზე და უგზოობის პირობებში სამოძრაოდ
- ავტოტრასპორტის მოვლა/შეკეთების დაგეგმვა, კოორდინაცია, შესრულება და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება მწარმოებელთა რეკომენდაციების შესაბამისად
- ტრანსპორტის ქოლ ცენტრის/მგზავრობის დაგეგმარების და კოორდინაციის, ტრანსპორტის დროული მიწოდების მენეჯმენტი
- სატრასპორტო საშუალებების შემდეგი პირობების უზრუნველყოფა: დაზღვევა, რეგისტრაცია, სახელმწიფო ტექნიკური დათვალიერება, საწვავის საბარათე სისტემის უზრუნველყოფა, ინვენტარი, მანქანის რეცხვა, პარკირება, მოძრაობის ჯარიმების გადახდა, და ა.შ.
- ბი პი-ს საკუთრებაში მყოფი, თუ დაქირავებული სატრანსპორტო საშუალებების აღჭურვა მანქანის შიდა მონიტორინგის სისტემით (IVMS)

**დაინტერესებულ კომპანიებს გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი საკონტაქტო ინფორმაცია: კომპანიის სახელი, მისამართი, ტელეფონი, ელ. ფოსტა შემდეგ ელ ფოსტის მისამართზე:arveladm@bp.com ან კომპანიის ოფისის მისამართზე; თბილისი, სულხან ცინცაძის 24, კონტრაქტების განყოფილების უფროსის მაკა არველაძის სახელზე. მოწოდების ბოლო ვადაა 2017 წლის 5 ივნისი.**

# ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები აღმასრულებელ თანამდებობას ველარ დაიკავებენ

„კომერციული ბანკის საქმიანობის შესახებ“ კანონში ცვლილებები იგეგმება. კომერციული ბანკის „სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს არ უნდა ჰქონდეთ აღმასრულებელი ფუნქციები“. ამის შესახებ ეროვნული ბანკის მიერ მომზადებულ კანონპროექტშია საუბარი. პროექტი პარლამენტში უკვე ინიცირებულია.

– ეროვნული ბანკი უფლებამოსილია კომერციულ ბანკს მოსთხოვოს მფლობელობის ან/და ჯგუფის სტრუქტურის შეცვლა/გამარტივება, თუ მფლობელობის/სტრუქტურის სირთულე აფერხებს საზედამხედველო პროცესის ეფექტურ წარმართვას ან/და საფრთხეს უქმნის/მოსალოდნელია შეუქმნას ბანკის ან/და ფინანსური სექტორის სტაბილურობასა და ჯანსაღ ფუნქციონირებას, – ნათქვამია კანონპროექტში.

# „ბავშვთა სამყაროში“ ხანძარი ხელოვნურად გააჩინეს“

„ბავშვთა სამყაროში“ ხანძარი ხელოვნურად გააჩინეს, – ამის შესახებ სააქციო საზოგადოების იურისტმა, ვაჟა მაისურაძემGBC-ს მომზადებულ დასკვნებზე დაყრდნობით განუცხადა.

ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს და შსს-ს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის დასკვნებს კომპანიის აქციონერებს 29 ივნისს წარუდგენენ. მაისურაძე ამბობს, რომ დახურული შეხვედრის შემდეგ, შესაძლოა აქციონერებმა დასკვნების გასაჯაროება გადაწყვიტონ.




– ხანძრის ხელოვნურად გაჩენაზეა გამოძიება დაწყებული და დასკვნებიც ამას აჩვენებს, – ამბობს მაისურაძე და აღნიშნავს, რომ მათ გარკვეული ეჭვები აქვთ, ვის ინტერესში შედიოდა კომპანიის დაზარალება, თუმცა გამოძიების დასრულებას ელიან.

იურისტი ამბობს, რომ ამ ხანძარმა ყველაზე მეტად აქციონერები დააზარალა. დაზღვევისგან ზარალის ანაზღაურება კი ხანგრძლივი პროცესია, რაზეც მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

აქციონერთა კრებაზე კომპანიის 2016 წლის ფინანსურ ანგარიშსაც განიხილავენ, ასევე იმსჯელებენ განვითარების პერსპექტივაზე, ფინანსების მოზიდვასა და გრძელვადიან ინვესტიციებზე.

კრების დღის წესრიგშია გასული წლის მოგების განაწილებაც. „სავაჭრო სახლმა ბავშვთა სამყარომ“ 2016 წელი 1.31 მლნ ლარის წმინდა მოგებით დაასრულა. ანგარიშში აღნიშნულია, რომ კომპანიის აქტივები 2016 წლის ბოლოს 8 მლნ ლარით იყო შეფასებული, მათ შორის ძირითადი საშუალებები 7.1 მლნ ლარით.

# სახალხო დამცველმა ე.წ. მოსმენების კანონი საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა

სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა ე.წ. მოსმენების კანონი საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა. ომბუდსმენმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელით მიმართა, რომლითაც სადავოა ფარული საგამოძიებო მოქმედებების (ე.წ. ფარული მოსმენების გასაღების) მომწესრიგებელი, საქართველოს პარლამენტის მიერ 2017 წლის 22 მარტს მიღებული კანონმდებლობის კონსტიტუციურობა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" სახალხო დამცველის აპარატიდან აცნობეს.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მართალია მიღებული იქნა ახალი კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ" და შეიქმნა ახალი ორგანოს სსიპ ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი კვლავ წარმოადგენს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში შემავალ ინსტიტუტს. სახალხო დამცველის აზრით, მისი ინსტიტუციური მოწყობის, დაკომპლექტების წესები, ისევე, როგორც აღნიშნული ორგანოს შინაარსობრივი ფუნქციები, ცხადყოფს, რომ იგი წარმოადგენს პროფესიულად დაინტერესებულ უწყებას, რომელსაც კვლავ აქვს პირდაპირი და უკონტროლო წვდომის შესაძლებლობა სატელეფონო და ინტერნეტ-კომუნიკაციაზე, ისევე, როგორც კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემებზე.

– სააგენტოს პროფესიული დაინტერესების თაობაზე უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2016 წელს გამოტანილი გადაწყვეტილების პირობებშიც, მაშინდელ ოპერატიულ-ტექნიკურ დეპარტამენტს არ ჰქონდა საგამოძიებო ფუნქციები, თუმცა ვინაიდან იგი იყო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ნაწილი, რომელსაც თავის მხრივ აქვს საგამოძიებო ფუნქციები, სწორედ ამიტომაც, სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად მიუთითა, რომ დეპარტამენტის ხელში არსებული შესაბამისი ტექნიკური შესაძლებლობების ქონა, ადამიანის პირადი ცხოვრების უფლებაში არალეგიტიმურად ჩარევისა და ამ უფლების დარღვევის საფრთხეს განუზომლად ზრდიდა.

საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შემთხვევაშიც, ინსტიტუციურად და ფაქტობრივად, იგი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განუყოფელი ნაწილია, ვინაიდან სააგენტოს უფროსის 3 კანდიდატურას არჩევს სუს-ის უფროსი და წარუდგენს კომისიას, რომელსაც თავადვე ხელმძღვანელობს.

გარდა ამისა, სააგენტოს უფროსი ვალდებულია, სუს-ის უფროსს შეუთანხმოს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და დაფინანსება, სააგენტოს მოსამსახურეების წახალისება და დისციპლინური პასუხისმგებლობა, სააგენტოს შიდა სტრუქტურა, საშტატო ნუსხა და სააგენტოს მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები. სუს-ის უფროსი განსაზღვრავს სააგენტოს ძირითად სტრუქტურას და სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების კომპეტენციას.

რაც შეეხება სააგენტოს საქმიანობის კონტროლს, აღსანიშნავია, რომ სუსი, ზემოხსენებული კომპეტენციების გარდა, წარმოდგენილია, როგორც აღნიშნული სამსახურის ერთ-ერთი მაკონტროლებელი ორგანო, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ სააგენტო რეალურად ამ სამსახურის განუყოფელი ნაწილია და არა დამოუკიდებელი ორგანო.



გარდა ამისა, სადავო კანონით გათვალისწინებული სხვა მაკონტროლებლებიც პარლამენტის, პრემიერ-მინისტრის, სასამართლოს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სახით, ვერ უზრუნველყოფენ რეალურ კონტროლს. მაგალითად, 2016 წელს გაუქმებული მოდელისგან განსხვავებით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს აღარ აქვს შესაძლებლობა, ჰქონდეს ორეტაპიანი ელექტრონული სისტემა (თუმცა, ეს მოდელიც კი, საკონსტიტუციო სასამართლომ არაეფექტურად მიიჩნია), რაც რეალურად მისი, როგორც მაკონტროლებელი ორგანოს ფუნქციების გაუარესებას წარმოადგენს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი თვლის, რომ 2017 წლის 22 მარტამდე არსებულ ოპერატიულ-ტექნიკურ დეპარტამენტსა და ახლად შექმნილ სააგენტოს შორის შინაარსობრივი სხვაობა არ არსებობს. სააგენტო არ არის ნეიტრალური და დამოუკიდებელი ორგანო, შესაბამისად, ვერ პასუხობს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით დადგენილ სტანდარტებს, – ნათქვამია სახალხო დამცველის განცხადებაში.

# გიორგი კლდიაშვილი: „საერთაშორისო დონეზე შევრცხვით, როგორც სახელმწიფო"



– ადამიანი ცხოვრობს შენს ტერიტორიაზე და გპარავენ, ეს არის უსაფრთხოების სამსახურის სრული სირცხვილი და ნიშნავს, რომ ქვეყანაში მოქალაქე უსაფრთხოდ ვერ გყავს, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" IDFI-ის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი კლდიაშვილმა აზერბაიჯანელი ჟურნალისტის გაუჩინარების საქმის შეფასებისას განუცხადა.

როგორც მან აღნიშნა, სუს-ის უფროსის განცხადება, რომელიც ამ თემაზე გააკეთა, იყო ძალიან ფრთხილი და მოზომილი, თუმცა, როგორც კლდიაშვილმა აღნიშნა, ეს არ ცვლის იმ ფაქტს, რომ ადამიანი საქართველოს ტერიტორიიდან გაიტაცეს.

– ფაქტი სახეზეა, რომ ეს ადამიანი გაიტაცეს საქართველოს ტერიტორიიდან. ის, ალბათ, გადაიყვანეს არაოფიციალური საზღვრის გავლით და აქ ბევრი კითხვა პასუხგაუცემელი რჩება. ფაქტი არის წარმოუდგენელი, ასეთი რამ ჩვენთან არ მომხდარა არასოდეს. ეს პირდაპირ სპეცოპერაციაა აზერბაიჯანული სპეცსამსახურების, რომელიც ჩაატარეს საქართველოს ტერიტორიაზე, ეს არის დანაშაულებრივი ქმედება და უნდა მოხდეს აზერბაიჯანის ელჩის დაბარება, მისგან ახსნა-განმარტების ჩაბარება და შემდეგ უკვე რეაგირება უმაღლეს დონეზე. ჩემი აზრით, ეს ვერ მოხდებოდა აზერბაიჯანის პრეზიდენტის ინფორმირების გარეშე. აქ, ცხადად იკვეთება ძალიან ცუდი ფაქტი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს არ მოხდებოდა ქართული მხარის მონაწილეობის ან ინფორმირების გარეშე, მაგრამ ამას მტკიცებით ფორმაში ვერ ვიტყვით. ფაქტია, რომ აზერბაიჯანში ადამიანი თავისი ნების გარეშე გადაიყვანეს საქართველოს ტერიტორიიდან. ეს არის თავზე ლაფის დასხმა. საერთაშორისო დონეზე შევრცხვით, როგორც სახელმწიფო, – განაცხადა კლდიაშვილმა.

აზერბაიჯანელი ოპოზიციონერი ჟურნალისტი თბილისში გაუჩინარდა. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ის აზერბაიჯანში იმყოფება. როგორც თავად აცხადებს, ის საცხოვრებელ სახლთან უცნობმა პირებმა დააკავეს, სცემეს და ბაქოში წაიყვანეს. მისივე მტკიცებით, პირებმა, რომლებიც სავარაუდოდ სპეცსამსახურების წარმომადგენლები იყვნენ, თანხაც ჩაუდეს.

თავის მხრივ, სუს-ის უფროსმა ვახტანგ გომელაურმა, აზერბაიჯანულ მხარეზე დაყრდნობით განაცხადა, რომ ავღან მუხთარლი „მწვანე საზღვარზე" დააკავეს, სადაც პასპორტი საჭირო არაა.

# ირაკლი შოთაძე „ედიშერ ქარჩავას განცხადებებს გადავამოწმებთ"




– ჩვენთვის მნიშვნელოვანია ყველა ინფორმაცია და ყველა ინფორმაციას გადავამოწმებთ, – ამის შესახებ ჟურნალისტებს მთავარმა პროკურორმა ირაკლი შოთაძემ საპატრიარქოს იურისტის, ედიშერ ქარჩავას განცხადებების შესახებ დასმული კითხვის საპასუხოდ განუცხადა.

– ედიშერ ქარჩავა დაიკითხა. რა თქმა უნდა, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ყველა ინფორმაცია და ყველა ინფორმაციას გადავამოწმებთ, – განაცხადა შოთაძემ.

როგორც ცნობილია, ედიშერ ქარჩავა რამდენიმე პირს, მათ შორის მეუფე პეტრეს და პატრიარქის დაცვის ყოფილ უფროს სოსო ოხანაშვილს უწმინდესის მკვლელობის სურვილში ადანაშაულებს.

# ირაკლი სესიაშვილი: „სამხედრო სავალდებულო სამსახურისთვის თავის არიდების მიზნით, ერთი წლის განმავლობაში, თვითდაზიანების 1.500–2.000 შემთხვევა ფიქსირდება"



– გვაქვს შემთხვევები, როცა წვევამდელები სამხედრო სავალდებულო სამსახურისთვის თავის არიდების მიზნით თვითდაზიანებას მიმართავენ, – ამის შესახებ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი სესიაშვილმა განაცხადა.

სესიაშვილის ინფორმაციით, გამწვევი კომისიების მონაცემებით, ერთი წლის განმავლობაში ასეთი 1.500-2.000 შემთხვევა ფიქსირდება.

– კანონში დაგეგმილია ცვლილებები, მათ შორის არის გაფრთხილება წვევამდელებისთვის, რომ თვითდაზიანების ან ავადმყოფობის სიმულაციის შემთხვევაში და ამ გზით სამხედრო სავალდებულო სამსახურისთვის თავის არიდების მცდელობისთვის, ისინი დაისჯებიან. მეორე მხრივ, სამართალდამცავ ორგანოებს მოვუწოდებ, მეტი ყურადღება გაამახვილონ, რომ პრევენციულად აღკვეთონ ასეთი არაკანონიერი ქმედებები, – განაცხადა სესიაშვილმა.

მან აქვე აღნიშნა, რომ იგეგმება გაწვევის სისტემის შეცვლა და ამ მიმართულებით რეფორმების განხორციელება. სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ზუსტდება, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს წვევამდელის მიერ სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდებად, რაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას გამოიწვევს.

პარლამენტი პირველი მოსმენით იხილავს პროექტს, რომლის მიხედვით, წვევამდელის მიერ სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდება, მათ შორის ავადმყოფობის სიმულაციის, სხეულის თვითდაზიანებით, ყალბი დოკუმენტის გამოყენებით ან სხვაგვარად მოტყუებით, დაისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე.

პროექტის ავტორი და ინიციატორია თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი.

თავის მხრივ, აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა „გირჩის" მიერ რელიგიური ორგანიზაციის დარეგისტრირებას უკავშირდება, რომლის შექმნის მიზანს ახალგაზრდებისათვის სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისგან თავის არიდებაში დახმარება წარმოადგენს.

# „ელ ცენტროში" მომხდარი ინციდენტის გამო მიხეილ ჩოხელმა თანამდებობა დატოვა




ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ მიხეილ ჩოხელმა თანამდებობა დატოვა. მიხეილ ჩოხელის გადაწყვეტილების მიზეზი კაფე „ელ ცენტროში" ყოფილ მთავარ პროკურორ ოთარ ფარცხალაძესა და გენერალურ აუდიტორ ლაშა თორდიას შორის მომხდარი ინციდენტია. მიხეილ ჩოხელი ინციდენტისას ოთარ ფარცხალაძესთან ერთად იმყოფებოდა.

– საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი კლუბ „ელ ცენტროში" განვითარებული მოვლენების შესახებ, რომელზეც დაწყებულია გამოძიება და ხსენებულ საქმეზე გამოკითხული ვარ მოწმის სახით. ჩვენ ყველანი გავხდით მოწმეები ამ ფაქტთან დაკავშირებით სხვადასხვა ანგაჟირებული პირების მხრიდან სუბიექტური და დაუსაბუთებელი განცხადებების, მათ შორის პირადად ჩემ წინააღმდეგ. მე არაერთი წელია რაც ვარ საჯარო მოხელე, ვმუშაობდი ძირითადად სამართალდამცავ უწყებებში და კარგად ვგრძნობ ჩემს პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე. ამდენად, ვინაიდან მე მონაწილე ვარ ამ ინციდენტის, მიუხედავად იმისა, რომ არანაირი დანაშაული არ მიმიძღვის, იმისათვის, რომ ჩრდილი არ მიადგეს საჯარო სამსახურს და კერძოდ, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს, რომლის თითოეული თანამშრომელი კეთილსინდისიერად ემსახურება ქვეყანას და ეს სამსახური ჩემთვის ძალიან ძვირფასია, მივიღე ჩემთვის საკმაოდ მტკივნეული გადაწყვეტილება და მიზანშეწონილად ჩავთვალე პირადი განცხადებით დამეტოვებინა თანამდებობა. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაცია სრულად მივაწოდე სამართალდამცავებს და იმედს გამოვთქვამ, რომ მოკლე დროში დასრულდება გამოძიება და წერტილი დაესმება ფაქტის ირგვლივ არსებულ სპეკულაციებს, – ნათქვამია მიხეილ ჩოხელის განცხადებაში, რომელსაც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის პრესსამსახური ავრცელებს.

# რუსთავში მსუბუქი ავტომანქანა მიკროავტობუსს შეეჯახა



რუსთავში ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. რუსთაველის ქუჩაზე მოძრავი „ოპელის" მარკის ავტომანქანა შიდა საქალაქო ხაზზე მოძრავ მიკროავტობუსს შეეჯახა.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა. ადგილზე მობილიზებულია საპატრულო პოლიცია და სასწრაფო დახმარების ბრიგადა.



# აშშ-ში ახალი რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა გამოსცადეს

აშშ-ში გამოსცადეს ახალი რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა, რომლის მეშვეობითაც ბალისტიკური რაკეტის ჩამოგდებაა შესაძლებელი.

პენტაგონის წარმომადგენელმა კაპიტანმა დევისმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ახალი სისტემის მეშვეობით აშშ თანამედროვე ეპოქის გამოწვევებს წარმატებით გაუმკლავდება.

– ჩვენ შეგვიძლია როგორც ჩრდილოეთ კორეა, ასევე რუსეთიც ბეჭებზე დავცეთ, – ამბობს დევისი.

# ანდრეი ილარიონოვი: „რუსეთში რევოლუცია გარდაუვალია“



პუტინის ყოფილმა თანაშემწე ანდრეი ილარიონოვმა რადიო „თავისუფლებას“ ინტერვიუ მისცა.

მან განაცხადა, რომ 2017-18 წლებში რუსეთში ცვლილებები მოსალოდნელი არ არის.

– პუტინის რეჟიმს ძალისმიერი და ეკონომიკური რესურსი საკმაოდ გააჩნია. ამას გარდა, მოსახლეობის დიდი ნაწილი იმპერიის აღორძინების იდეას მხარს უჭერს, – თქვა ილარიონოვმა.

რუსეთის პრეზიდენტის ყოფილმა მოადგილემ შენიშნა, რომ პუტინისეული რეფორმები ჩავარდა, ქვეყანა იზოლაციაში მოექცა და უკვე რამდენიმე ლოკალურ ომშია გახვეული. საზოგადოებაშიც წარმოიქმნა წინააღმდეგობები; რაც უფრო გავა დრო, ეს წინააღმდეგობები უფრო გამწვავდება.

– რევოლუცია გარდაუვალია. ისმის კითხვა, როდის მოხდება ის და რა ხასიათისა იქნება, – აცხადებს ილარიონოვი.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*



# თვითმკვლელი ტერორისტი
## სალმან აბედი ტერაქტისთვის მარტო ემზადებოდა

მანჩესტერში მომხდარ ტერაქტზე გამოძიება გრძელდება.

22 მაისს, არიანა გრანდეს კონცერტის შემდეგ თვითმკვლელმა ტერორისტმა სალმან აბედიმ ფოიეში თავი აიფეთქა და ამ ტერაქტს 22 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

როგორც მანჩესტერის პოლიციამ დაადგინა, ტერაქტამდე 4 დღით ადრე აბედი მანჩესტერში ჩავიდა და აფეთქებისთვის საჭირო ინსტრუმენტები მარტომ შეიძინა. მასთან ერთად საეჭვო პირები არ შეუმჩნევიათ.

მიუხედავად ამისა, ინგლისელ სამართალდამცველებს ეჭვი აქვთ, რომ აბედი საიდუმლო ქსელის წევრი იყო და ბრძანებებს ასრულებდა.

მანჩესტერში ჩასვლამდე აბედი რამდენიმე თვე სირიაში იმყოფებოდა, სადაც სავარაუდოდ ტერაქტისთვის ემზადებოდა.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## კალეიდოსკოპი

# იტალიაში ნაყინს ტრამპის სახელი დაარქვეს



იტალიის ქალაქ ტაორმინაში, სადაც G7-ს სამიტი გაიმართება, ნაყინს აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის პატივსაცემად დაარქვეს მისი სახელი.

სპეციალურ დესერტს ერთ-ერთ ადგილობრივ ჯელატერიაში თჰე თრუმპ ჩუპ-ი ჰქვია. ის წითელ, თეთრ და ლურჯ, აშშ-ის დროშის ფერებშია შესრულებული.

ნუგბარის ცენტრალურ ელემენტს შაქრის ბოჭკოები წარმოადგენს, რომელიც ტრამპის ვარცხნილობას განასახიერებს.

– შაქარი ღია ნარინჯისფერი ან ყვითელი იქნება, – აცხადებს კაფე-სანაყინეს ერთ-ერთი თანამშრომელი. იქ ასევე ამტკიცებენ, რომ ეს დესერტი „მეტად სიცილიური ქმნილება“ იქნება.

# ელვის პრესლის თვითმფრინავი 430 ათასად გაიყიდა



კერძო თვითმფრინავი, რომელიც ოდესღაც ლეგენდარულ ამერიკელ მუსიკოსს ელვის პრესლის ეკუთვნოდა, კალიფორნიაში გამართულ აუქციონზე 430 ათას დოლარად გაიყიდა.

მრავალი წლის მანძილზე 1962 წელს გამოშვებული ლაინერი, ლოკჰიდ ჯეთსთარი ნიუ-მექსიკოს შტატის ქალაქ როზუელეს პატარა აეროპორტში ინახებოდა.

ამჟამად თვითმფრინავს ძრავა არ აქვს და შეკეთება სჭირდება.



# ყველაზე ლამაზი ამერიკელი დამნაშავე პერის ჰილტონს შეხვდა

აშშ-ის ყველაზე ლამაზი დამნაშავე ჯერემი მიქსი მსახიობსა და მეწარმეს პერის ჰილტონს კანში შეხვდა.

მათი შეხვედრა გერმანელი დიზაინერის ფილიპ პლეინის წვეულებაზე შედგა, რომელიც კანის ფესტივალის ფარგლებში გაიმართა. ეს მოვლენა ღონისძიებაზე დამსწრე ფოტოგრაფებმა აღბეჭდეს.

სხვათა შორის, ჰილტონისა და მიქსის გზები პირველად არ გადაიკვეთა. მიმდინარე წლის თებერვალში პერისი ნიუ-იორკში გამართული მოდის კვირეულის ჩვენებების მაყურებელთა შორის იმყოფებოდა, რომელშიც მონაწილეობას ყოფილი პატიმარი იღებდა.

რაც შეეხება პლეინის წვეულებას, მიქსი იქ შემთხვევით არ გამოჩენილა. სწორედ ამ დიზაინერმა შეიყვანა მოდის სამყაროში აშშ-ის ყველაზე ლამაზი დამნაშავე, როდესაც საკუთარ დეფილეში მონაწილეობის მისაღებად მიიწვია.

# პლეიბოის მოდელს განაჩენი გამოუტანეს




აშშ-ში პლეიბოის მოდელის დანი მაზერსის საქმეზე, რომელიც ხანდაზმული ქალბატონის ეროტიული ფოტოს გამოქვეყნებას ეხებოდა, სასამართლომ გამოიტანა განაჩენი.

30 წლის მაზერსმა ლოს-ანჯელესის ერთ-ერთ ფიტნეს-კლუბში სურათი გადაუღო გაშიშვლებულ 71 წლის ქალბატონს და ის ინტერნეტში შეურაცხმყოფელი კომენტარის თანხლებით გამოაქვეყნა.

მაზერსის ადვოკატების თქმით, მოდელს სურდა ფოტოსურათი ერთ-ერთი თავისი ნაცნობისთვის გაეგზავნა და შეცდომით, ის ინტერნეტში გამოჩნდა.

მოდელს მისთვის წარდგენილი ბრალდება არ უარყვია და ბოდიში მოიხადა. სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, მაზერს 30 დღის განმავლობაში ლოს-ანჯელესის ქუჩების მორეცხვა მოუწევს. ასევე მას სამი წლით საგამოცდო ვადა ექნება.

ასევე მოდელს, ფოტოგადაღებებზე შეზღუდვა დაუწესდა, მაგალითად, მას არ შეეძლება სხვა ადამიანის ნებართვის გარეშე ფოტო ან ვიდეო გადაღება აწარმოოს და შემდეგ ის ინტერნეტში გამოაქვეყნოს.

# ქალი გამტაცებლის შესაჩერებლად მანქანას კაპოტზე შეახტა

ამერიკის ვისკონსინის შტატის მცხოვრები ქალი საკუთარი კროსოვერის კაპოტს მას შემდეგ შეახტა, როდესაც შენიშნა, რომ მანქანის საჭესთან გამტაცებელი იჯდა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეოჩანაწერი ერთ-ერთმა ადგილობრივმა ტელეარხმა გამოაქვეყნა.

ტელეარხის ინფორმაციით, 28 წლის მელისა სმიტი მანქანაში საწვავს ასხამდა, როდესაც უცნობი მამაკაცი გვერდით გავლილი სედანიდან გადმოხტა და მის მანქანაში ჩაჯდა. ბოროტმოქმედს სურდა, მანქანა წაეყვანა, მაგრამ ქალი კაპოტზე შეხტა, საქარე მინის მწმენდავებს ჩაეჭიდა და მას მხედველობის არე შეუზღუდა. ამის შედეგად დამნაშავე ისევ სედანში ჩაჯდა, სადაც მისი თანამზრახველი იჯდა, ხელს ქალის ჩანთა გააყოლა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

ალსანიშნავია, რომ სმიტმა ინციდენტის შედეგად უმნიშვნელო დაზიანებები მიიღო. პოლიციის ადგილობრივი განყოფილების ოფიცერ ტიმოთი გაუკერის თქმით, სამართალდამცავი ორგანოები გამტაცებელსა და მის თანამზრახველს ეძებენ.



*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

● ექიმი პროფესიონალი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას; სასქესო ორგანოების, პროსტატის ყველა ფორმის დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას – მამაკაცებში. მკურნალობაში ვიყენებთ აპარატსა და სქესობრივი კონტაქტის დასამყარებელ „ერექტორებს“. კონსულტაცია უფასოა. ტელ: 2 99 95 33; 593 60 60 44.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით.აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი..

● ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში.სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემები – გასტრიტი, კუჭის წვენის დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭშეკრულობა, კუჭაშლილობა და ა.შ. ნერვული სისტემის, სახსრების, პოტენციის და კანის სხვადასხვა პრობლემების მოწესრიგება. ბეთლემისა და მეტეხის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ:558-34-36-24.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის სრული გაწმენდა-გაახალგაზრდავება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# კახა კალაძე: საკლუბო დონეზე ყველაფერს მივაღწიეთ, სანაკრებოზე გული მწყდება

საქართველოს ნაკრებისა და მილანის ყოფილმა მცველმა, ამჟამად საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა და ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემ უკრაინულ მედისთან ინტერვიუში მის დღევანდელ ცხოვრებასა და საფეხბურთო კარიერის წლებზე ისაუბრა.

***– როგორია თქვენი ყოველდღიურობა?***

– ძალიან ადრე ვიღვიძებ – რვის ნახევარზე. რა თქმა უნდა, ვვარჯიშობ. შეიძლება ითქვას, ყოველდღე. ამის შემდეგ, მივდივარ სამსახურში და შეხვედრებს ვატარებ. ჩვენ ბევრი ჰესი და ქარის სადგურები ავაშენეთ. ვუყურებ მუშაობის პროცესებს. აქ, საქართველოში, ბევრი მშენებლობა მიმდინარეობს.

***– სად ვარჯიშობ?***

– ძირითადად, სატრენაჟორო დარბაზში, რათა ფორმა შევინარჩუნო. როგორც წესი, ფეხბურთელები კარიერის დასრულების შემდეგ წონაში მალე იმატებენ. 2012 წელს, როცა ფეხბურთის თამაში დავასრულე, მალევე 10-12 კილოგრამი მოვიმატე. ვდგებოდი, ვიყურებოდი სარკეში და საშინელი შესახედავი იყო და ასევე, უსიამოვნო გრძნობაც მქონდა.

***– დღის განმავლობაში რამდენი საათი გძინავს?***

– ძალიან, ძალიან ცოტა. მძიმე მუშაობის შემდეგ, ხშირად სახლში გამთენიის 2-3 საათზე მისულვარ. ყოფილა დრო, როცა თუ 1 საათს დავიძინებდი, კარგ დღედ ვთვლიდი.

***– რამდენი ხანი დაგჭირდათ, ენერგეტიკის სფეროში კარგად რომ გარკვეულიყავით?***

– სიმართლე გითხრათ, ეს არ ყოფილა რთული. მთავარი, რაც ამ სფეროშია, უნდა აიყვანო ისეთი ხალხი შენს დამხმარედ, რომელთაც ეს საქმე კარგად ესმით და იციან ყველაფერი.

***– რა არის ყველაზე მძიმე თქვენს სამუშაოში?***

– პრობლემები გვაქვს, განსაკუთრებით ზამთარში. სექტემბრიდან მარტის დასასრულამდე ჩვენ ვყიდულობთ ელექტროენერგიას ჩვენი მეზობელი ქვეყნებისგან: რუსეთისგან, აზერბაიჯანისგან, სომხეთისგან და თურქეთისგან – ყველაფერი ფასზეა დამოკიდებული. ამავე დროს, საქართველოს ამ მხრივ შეუძლია დამოუკიდებელი გახდეს. ვართ პატარა ქვეყანა, თუმცა გვაქვს 25.000 მდინარე. აქედან, 300-ზე შეგვიძლია შევქმნათ ჰიდროელექტროსადგური და ამით დაინტერესებულია ეკონომიკის სამინისტრო. ამას ვგეგმავთ მომდევნო 5-6 წლის განმავლობაში, რადგან გვსურს, ქვეყანას საკუთარი ელექტროენერგია ჰქონდეს დროის ნებისმიერ მონაკვეთში. იმდენი რესურსი გვაქვს, რომ შეგვიძლია ექსპორტიც კი გავაკეთოთ.

***– რატომ წახვედით პოლიტიკაში?***

– თავდაპირველად, ამ კითხვას მუდმივად მისვამდნენ. 12 წელი იტალიაში ვცხოვრობდი და ვიყავი მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი. მაქვს ოჯახი, მყავს შვილები, მაგრამ სიმართლე გითხრათ, შვებულებას მილანში თამაშის დროს ყოველთვის საქართველოში ვატარებდი, რადგან ეს ქვეყანა ჩემთვის ყველაფერია. საქართველოს გარეშე ვერასდროს ვიცხოვრებ. ყველას გაეცინა და მითხრეს – შენ დაისვენე და ახლა მოხვედი საქართველოში, მაგრამ მათ ვუთხარი, რომ ამ პერიოდშიც ძალიან მენატრებოდა ჩემი ქვეყანა. იმ დროს ჩვენთან მძიმე



სიტუაცია იყო, განსაკუთრებით 2007 წელს, რადგან სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს არ გქონდა უფლება, გქონოდა განსხვავებული შეხედულება, თორემ გარანტირებული გქონდა რეპრესია. გასული 9 წლის განმავლობაში, საქართველოში მსჯავრდებული 300.000 ადამიანი იყო, რაც უზარმაზარი რიცხვია. ამ მხრივ, ევროპაში პირველ ან მე-2 ადგილზე ვიყავით, ხოლო მსოფლიოში – მე-7. გადავწყვიტეთ, შეგვეცვალა ყველაფერი. ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა შექმნა კოალიცია „ქართული ოცნება“, ხოლო ამავე წელს მივიღეთ მონაწილეობა საქართველოს არჩევნებში და მოვიგეთ.

***– რას აკეთებთ თქვენი ხელფასით?***

– სიმართლე გითხრათ, ამაზე ლაპარაკი არ მიყვარს. არ ვიღებ ხელფასს და ვეხმარები სხვადასხვა ხალხს, ვისაც ეს სჭირდება.

***– როდესაც მილანში გადახვედი, მნიშვნელოვანი იყო შევჩენკოსთან ერთად გეთამაშა?***

– არა, ეს უბრალოდ დამთხვევა იყო. იმ პერიოდში, როდესაც შევჩენკოს აკვირდებოდნენ, ჩემპიონთა ლიგაზე ერთად ვთამაშობდით. მთავარი მწვრთნელი ლობანოვსკი იყო. ძალიან ძლიერი პიროვნება და მწვრთნელი. ამის შემდეგ, მოხდა ისე, რომ მოლაპარაკებები ბაიერნთანაც მქონდა, გავფრინდი მიუნხენში და დავბრუნდი უკან. ამის შემდეგ, მოსკოვში კიევის დინამოსთან ერთად თანამეგობრობის თასი მოვიგე და ვიცოდი, რომ თითქმის უკვე მილანის წევრი ვიყავი. მათ მითხრეს – წადი, დააკვირდი, თუ კმაყოფილი იქნები, დარჩები.

***– დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა მოლაპარაკება?***

– როდესაც მივიღე წინადადება, ჩავედი, გავიარე სამედიცინო შემოწმება და ხელი ახალ, 5-წლიან კონტრაქტზე მოვაწერე. მაშინაც კი, როდესაც ამხელა გრანდი გთავაზობს ტრანსფერს, საჭიროა დაფიქრება. 10 წლის განმავლობაში უძლიერესი გუნდი გვყავდა. ყველაფერი მოვიგეთ, რაც შეიძლებოდა. ორჯერ ჩემპიონთა ლიგა, ორჯერ სუპერთასი, საერთაშორისო თასი, სკუდეტო, იტალიის სუპერთასი. მინდა, სხვა ქართველმა ფეხბურთელებმაც მიაღწიონ იმას, რასაც – მე.

***– ყველაზე კაშკაშა მომენტი შენი იტალიური კარიერიდან?***

– ჩემპიონთა ლიგის პირველად მოგება. წარმოუდგენელი სიხარული იყო. იმ ღამეს ვერ დავიძინე. ძალიან, ძალიან ლამაზი დღე იყო. ასევე, დასამახსოვრებელი იყო ჩემთვის დერბი დელა მადონინა, როდესაც ინტერს 6:0 მოვუგეთ.

***– შევჩენკომ მილანში ჩატარებული პირველი ვარჯიშების შემდეგ თქვა, რომ ეს გახურება ეგონა. როგორც ჩანს, ყველაფერი კიევის დინამოში დატვირთვების შედეგია.***

– ნამდვილად, კიევში სერიოზული დატვირთვები იყო. მაშინ, როდესაც თბილისიდან უკრაინაში წავედი, პირველი პერიოდი ცუდად ვხდებოდი, ვერ ვუძლებდი დატვირთვებს. მახსოვს, ზამთარში შეკრება გერმანიაში გვქონდა. მოვედით, დავსახლდით და დავიძინეთ და დილის 7 საათზე კარზე კაკუნია. ვიფიქრე, რომ რაღაც მოხდა და თურმე, ვარჯიში გვეწყებოდა. გავგიჟდი. ასე რომ, მილანური ვარჯიშები ჩემთვის თითქმის არაფერი იყო. ჩემთვის მთავარი იყო, შემენარჩუნებინა ის ფორმა, რომელიც დინამოში დატვირთვების დროს გადმომყვა. ბევრი სახის ვარჯიში არსებობს და ყველა კლუბს თავისი სტილი აქვს. ამ დროს რთულია, შეეწყო ერთი კლუბიდან მეორეს არჩევანს, თუმცა ეს მოვახერხე.

***– განსხვავებული მანქანები გყავდათ.***

– შეიძლება ითქვას, ფერარი ბავშვობიდან ჩემი ოცნება იყო. მაშინ, როდესაც კიევის დინამოსთან ერთად ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავედით, პრემიები დაგვირიგეს და პირველ რიგში, ოცნება ავისრულე. ეს მანქანა ჩემმა მეგობარმა დაამტვრია, ყვითელი ფერის იყო. სიმართლე გითხრათ, ახლა არ მაქვს დრო, ვიფიქრო მანქანებზე, ხოლო მილანში მყავდა ყველანაირი, როგორიც მომესურვებოდა. სპორტული, ჯიპები და სხვადასხვა.

***– არსებობს ოცნება, რომელიც ვერ შეისრულეთ?***

– ბავშვობიდან მინდოდა, გავმხდარიყავი ფეხბურთელი და მეთამაშა იმ დონეზე, რომელზეც ვითამაშე. ერთადერთი, რაც სამწუხაროდ ვერ მოვახერხე, საქართველოს ეროვნულ ნაკრებთან ერთად წარმატებას ვერ მივაღწიე.

***– შევჩენკოს გარდა, ვისთან გქონდა მილანში კარგი ურთიერთობა?***

– ახლაც მაქვს მალდინისთან ძალიან ახლო ურთიერთობა. ასევე, კოსტაკურთასთან, ამბროზინისთან და გატუზოსთან. შეიძლება ითქვას, რომ საქართველო და იტალია ერთმანეთს ჰგავს. ორივეს ძალიან გემრიელი სამზარეულო გვაქვს. იტალიელი ხალხი თბილი და სტუმართმოყვარეა, როგორც ჩვენ.

***– ვინ იყო მილანში ყველაზე ძლიერი ფეხბურთელი?***

– მალდინი, ლეგენდა! ახლა ბევრი ლაპარაკი მიდის, მესი თუ რონალდუ. ბუნებრივია, ისინი ძალიან ძლიერები არიან. ასევე, უძლიერესები იყვნენ რონალდინიო და კაკა, მათ მილანში ძლიერი წლები გაატარეს. ასევე, ვერ გამოვტოვებ ამ კითხვას ისე, ინძაგი რომ არ ვთქვა.

***– მილანს საქართველოში ბევრი გულშემატკივარი ჰყავს?***

– ძალიან ბევრი. თუმხა, ძირითადად ბაიერნს, რეალსა და ბარსელონას გულშემატკივრობენ. მილანში გადასვლის შემდეგ, ქართველებმა დაიწყეს ამ კლუბის ქომაგობა, ეს ნორმალურია, რადგან ჩვენს ქვეყანაში ძლიერ უცხოურ გუნდებს ყოველთვის ბევრი ქომაგი ჰყავს. ახლა ასეთი პიროვნება ჩვენთან ზაზა ფაჩულიაა, რომელიც ნბა-ში თამაშობს. ის საქართველოში ყველას უყვარს.

***– ჩემპიონთა ლიგის ფინალი სტამბულში. რა მოხდა?***

– ძალიან რთული თამაში იყო. არ მითამაშია, სკამზე ვიჯექი, რადგან სერიოზული ტრავმა მქონდა. იმ წელს მხოლოდ 7-ჯერ ვითამაშე. პირველ ნახევარს 3:0 ვიგებდით. მეორე ტაიმის დასაწყისში გავუშვით პირველი ბურთი და ამას მოჰყვა შემდეგ ყველაფერი. ისეთი თამაში იყო, როგორიც ბარსელონასა და პსჟ-ს შორის. იგივე შემიძლია გავიხსენო, მილანისა და დეპორტივოს დაპირისპირებიდან. პირველი შეხვედრა 4:1 მოვიგეთ, თუმცა განმეორებითში 4:0 დავმარცხდით. საშინელი გრძნობა იყო.

***– სტამბულში გაფუჭებული პენალტის გამო, შევჩენკოს მიმართ რაიმე საჩივარი ხომ არ ყოფილა?***

– არა, არანაირი პრეტენზია და საჩივარი. იგივე მომივიდა მეც 2003 წელს, მანჩესტერში, თუმცა გამიმართლა და მოვიგეთ. რა თქმა უნდა, შევჩენკოსთვის ძალიან მძიმე იყო, გადამწყვეტი პენალტის გაფუჭება. ყველას გვინდოდა გაეტანა, პირველ რიგში, მას, თუმცა მეკარემ შეუდარებლად ითამაშა.

***– მართალია თუ არა, რომ სილვიო ბერლუსკონისთვის გუნდში მომუშავე ყველა პერსონალი ოჯახის წევრივით იყო?***

– დიახ. იმ სეზონში, როდესაც ჩემპიონთა ლიგა წავაგეთ, გუნდმა დაახლოებით 40-50 მილიონი იზარალა, თუმცა ყველაფერი სილვიომ თავისი ჯიბიდან ჩადო ინვესტიციაში. მას სწამდა ჩვენი და მილანი სიგიჟემდე უყვარდა. ვამაყობ, რომ ვიყავი „ოქროს მილანის“ ფეხბურთელი. ის 10-11 წელი, რომელიც იტალიაში გავატარე, ჩემთვის იყო ფასდაუდებელი გამოცდილება. თქვენ წარმოიდგინეთ, ჩემი მეუღლეც მილანში გავიცანი. შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს და 4-5 თვეში ცოლად მოვიყვანე. ის ქართველია. 3 შვილი მყავს, სამივე ბიჭი. ყველა მილანში დაიბადა.

***– გახდება რომელიმე ფეხბურთელი?***

– არ ვიცი, ამას მომავალში დავინახავთ. მე მსურს, მათ ითამაშონ ფეხბურთი, თუმცა მთავარია, თავიანთ ცხოვრებაში წარმატებულები იყვნენ და სამშობლოს სარგებელი მოუტანონ იმითი, რასაც გააკეთებენ.

***– ბენეფისი არა მხოლოდ მილანში, კიევის დინამოშიც გქონდა.***

– 17 წლის ვიყავი, ეროვნულ ნაკრებში უკვე რამდენიმე მატჩი მქონდა ჩატარებული და ერთ-ერთი იტალიასთან იყო, როდესაც 0:0 ვითამაშეთ. შეცვლაზე შევედი და მითხრეს, კრისტიან ვიერის პერსონალურად ეთამაშეო. მაშინ ჩვენი კაპიტანი კახა ცხადაძე იყო, რომელმაც მე-13 წუთზე ტრავმა მიიღო და მოედანზე მის მაგიერ შევედი. შეხვედრა მაღალ დონეზე ჩავატარე და აღმოჩნდა, რომ მატჩს კიევის დინამოს წარმომადგენლები უყურებდნენ. ამის შემდეგ, მოლდოვას ვეთამაშეთ და 3:0 ან 3:1 მოვუგეთ, ზუსტად აღარ მახსოვს. ამას მოჰყვა შიდა ჩემპიონატში კარგი თამაშები. ვარ ბაზაზე, ვისვენებ და არის ზარი კიევის დინამოდან. მითხრეს, რომ ჩემთან შეხვედრა სურდათ. ძალიან მოულოდნელი და სასიამოვნო იყო. ვუთხარი, რომ 17 წლის ვიყავი და მათთან საუბრის გასამართად ვერ მივიდოდი, ჩემს მაგივრად კი ბიძაჩემი ან მამაჩემი მივიდოდა და ყველაფერს მოაგვარებდნენ. მაშინ არ შემეძლო ვინმე ჩემით მიმეწვია თამაშზე, რადგან თვიური გასამრჯელო მხოლოდ 200 დოლარი მქონდა.

***– როგორი იყო პირველი შეხვედრა ლობანოვსკისთან?***

– უკრაინაში მამაჩემთან ერთად გავფრინდი. მოგვესალმნენ და დინამოს სტადიონზე გადაგვიყვანეს. იქ ლობანოვსკი დაგვხვდა. მახსოვს, როდესაც კაბინეტში შევედით, წამოდგა და მოგვესალმა და მითხრა – თუ გსურს გახდე კარგი მოთამაშე, მაშინ უნდა მომისმინო მე.

***– რა გასწავლათ?***

– ძალიან ბევრი. არა მხოლოდ როგორც ფეხბურთელს, არამედ როგორც პიროვნებასაც. მე საქართველოდან ვიყავი, ბელიკევიჩი და ჰაცკე-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## შედეგები

30 მაისი
ჩოგბურთი
როლან გაროსი

კაცები

| | |
|---|---|
| მარეი-კუზნეცოვი | 6:4,4:6,6:2,6:0 |
| ვავრინკა-კოვალიკი | 6:2,7:6,6:3 |
| ნიშიკორი-კოკინაკისი | 4:6,6:1,6:4,6:4 |
| ვერდასკო-ა.ზვერევი | 6:4,3:6,6:4,6:1 |
| ბერდიხი-შტრუფი | 6:1,6:1,4:6,6:4 |
| მონფილსი-ბრაუნი | 6:4,7:5,6:0 |
| კირგიოსი-კოლშრაიბერი | 6:3,7:6,6:3 |
| ისნერი-ტომპსონი | 6:3,4:6,7:6,6:3 |
| ჩუნგი-კუერი | 6:4,3:6,6:3,6:3 |
| დელ პოტრო-პეია | 6:2,6:1,6:4 |
| კლიჟანი-ლოკოლი | 7:6,6:3,4:6,0:6,6:4 |
| ალმაგრო-ბაღდატისი | 6:7,6:4,6:3,7:6 |
| ლორენცი-ბერანკისი | 6:0,6:2,6:4 |
| ხაჩანოვი-ხარი | 6:4,3:6,7:6,6:1 |
| ისტომინი-ესკობედო | 7:6,6:3,6:4 |
| შარდი-ალბოტი | 6:2,6:4,7:6 |
| დოლგოპოლოვი-ბერლოკი | 7:5,6:3,6:4 |
| მონტეირო-ა.მიულერი | 7:6,2:6,4:6,7:6,6:0 |
| ედმუნდი-ელიაში | 6:3,6:2,7:5 |
| ანდერსონი-ჟაზირი | 7:6,6:3,7:6 |

ქალები

| | |
|---|---|
| სვიტოლინა-შვედოვა | 6:4,6:3 |
| პირონკოვა-ბარტელი | 6:0,6:4 |
| სევასტოვა-ბეკი | 6:2,6:4 |
| ბუშარი-ოზაკი | 2:6,6:3,6:2 |
| მარტიჩი-ბონდარენკო | 6:2,7:5 |
| კისი-ბარტი | 6:3,6:2 |
| კირსტეა-პენგი | 6:3,6:1 |
| სუარეს ნავარო-საკარი | 6:4,6:2 |
| კასატკინა-ვიკმაიერი | 7:5,6:4 |
| ვონდროუშოვა-ჰესე | 6:1,6:0 |
| მარია-დუანი | 6:4,6:1 |
| ჰალეპი-ჩეპელოვა | 6:3,6:2 |
| ჰსიე-კონტა | 1:6,7:6,6:4 |
| თაუნსენდი-კატო | 6:4,6:0 |
| პაკე-კრ.პლიშკოვა | 6:7,6:2,6:2 |
| გარსია-ჰიბინო | 6:2,6:2 |
| სტრიკოვა-რისკე | 6:3,6:0 |
| კორნე-ბაბოში | 6:2,6:7,6:2 |
| ვან უიტვანკი-ოსაკა | 6:3,7:5 |
| ა.რადვანსკა-ფერო | 6:1,6:1 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## შენგელიამ და ბასკონიამ მოედნის უპირატესობა დათმეს

ესპანეთის ჩემპიონატის ნახევარფინალური სერიის პირველ მატჩში თორნიკე შენგელიას ბასკონიამ ვალენსიასთან 82:83 წააგო და მოედნის უპირატესობა დაკარგა.

ბასკები თამაშს ბოლო წუთებამდე აკონტროლებდნენ, თუმცა სტუმრები თავიანთ შანსს ელოდნენ. გადამწყვეტ მომენტში ყოფილმა ბასკონიელმა ფერნანდო სან ემეტერიომ სამქულიანით ვალენსია მინიმალური სხვაობით დააწინაურა. მას მერე გუნდებმა 2-2 ქულა გაცვალეს, ბოლო შეტევა ბასკონიის იყო, მაგრამ ნაჩქარევი სროლა არაზუსტი გამოვიდა და გამარჯვება ვალენსიელებს დარჩათ – 83:82.

ქართველი კალათბურთელი თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და მოედანზე 22 წუთი გაატარა. ამ დროის მანძილზე ჩვენებურმა 10 ქულა, 4 მოხსნა და 1 ჩაჭრა მოაგროვა. თოკომ 8-დან 5 ორქულიანი გამოიყენა, 1 სამქულიანი ააცილა.



ბასკური კლუბის რიგებში საუკეთესო ამერიკელი უკანახაზელი შეინ ლარკინი იყო, რომელსაც ორმაგ დუბლამდე ცოტა დააკლდა – 17 ქულა, 8 პასი. ვალენსიელებს 24 ქულითა და 7 მოხსნით ფერნანდო სან ემეტერიომ ულიდერა.

ნახევარფინალის მე-2 შეხვედრას 1 ივნისს ისევ ბასკონია უმასპინძლებს, შემდეგ კი სერია ვალენსიაში გადაინაცვლებს. სერია 3 მოგებამდეა...



# როდის იმატებს ტუბერკულოზის გადაცემის შანსი

ეკა ირემაშვილი

ტუბერკულოზი მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული ინფექციური დაავადებაა, რომელსაც ტუბერკულოზის მიკობაქტერია იწვევს.

როდის იმატებს ტუბერკულოზის გადაცემის შანსი და როგორია ტუბერკულოზით დაინფიცირების გზები, ამ თემებზე იაშვილის კლინიკის რესპირაციული მედიცინის დეპარტამენტის პედიატრიული მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი ნანა ცხაკაია საუბრობს.

**ნანა ცხაკაია:**

– ტუბერკულოზი მსოფლიოში ყველაზე მეტად გავრცელებული ბაქტერიული ინფექციური დაავადებაა და მას იწვევს ტუბერკულოზის მიკობაქტერია. ყოველწლიურად მსოფლიოში ტუბერკულოზით ავადდება 8-10 მილიონი და კვდება 2-3 მილიონი ადამიანი. 2012 წელს მსოფლიოში ტუბერკულოზით დაავადდა 530.000 და მოკვდა 74.000 ბავშვი, თუმცა, რეალურად სიკვდილობის მაჩვენებელი გაცილებით მეტია.

საქართველოში ტუბერკულოზის ავადობის მაჩვენებელი ბოლო წლებში 130-134-ს შორის მერყეობს, ეს ნიშნავს, რომ ყოველ 100.000 სულ მოსახლეზე ტუბერკულოზის ავადობა არის 130 ან 134, რაც საკმაოდ მაღალია და ამის გამო საქართველო ტუბერკულოზის მაღალი გავრცელების ქვეყნებს მიეკუთვნება.

***– როგორ გადაეცემა ტუბერკულოზი?***

– ტუბერკულოზის გადაცემის გზა არის ძირითადად აეროგენული გზა, ჰაერწვეთოვანი გზა და იგი შეადგენს გადაცემის გზებით 98 პროცენტს. ინფექციის მთავარი წყარო არის ფილტვის ან ხორხის ტუბერკულოზით დაავადებული ადამიანი, რომელიც ხველის, ლაპარაკის, ცხვირცემინების ან სიმღერის დროს, ჰაერში მიკრობებს გამოყოფს. ასეთი ჰაერის ჩასუნთქვისას ჯანმრთელ ადამიანში იწყება მათი გამრავლება. ჩვეულებრივად ინფიცირებისთვის საჭიროა 5-დან 200-მდე ბაცილა, თუმცა ერთ მიკროორგანიზმსაც შესწევს დაავადების გამოწვევის უნარი. დადგენილია, რომ მიკობაქტერიების გამომყოფი ადამიანი, სანიტარული ნორმების დაცვის შემთხვევაშიც კი, წელიწადში 10-15 ადამიანს ასნებოვნებს.

***– შეიძლება ადამიანებს დაავადება ბავშვებისგან გადაეცეთ?***

– დაავადების გადაცემა იშვიათია ბავშვებისგან, განსაკუთრებით 12 წლამდე ასაკში. ბავშვებს ხველა იშვიათად აღენიშნებათ, მათი ნახველი მცირე რაოდენობის ბაქტერიებს შეიცავს და ისინი ვერ ახერხებენ ისეთი ძალით ხველას, რომ მიკობაქტერიების გამოყოფა შეძლონ. ტუბერკულოზით დაავადებულ უფრო მოზრდილ ბავშვებსა და მოზარდებს მიკობაქტერიების ჩვეულებრივ გამოყოფა და სხვების დაინფიცირება შეუძლიათ. მიკობაქტერიებით დასნებოვნება შესაძლებელია დაავადებული საქონლის არაპასტერიზებული რძისა და რძის პროდუქტების საკვებად მიღებითაც. დაავადების გადაცემა უფრო იოლია მჭიდრო, ოჯახური, ხანგრძლივი კონტაქტების დროს, თუმცა შესაძლებელია შედარებით იშვიათი კონტაქტების დროსაც. ამიტომ ბავშვებში ტუბერკულოზის დიაგნოზის გასაღები ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულ მოზრდილთან ან მოზარდთან კონტაქტის არსებობაა.

***– როდის იმატებს ტუბერკულოზის გადაცემის შანსი?***

– შანსი იმატებს მაშინ, როდესაც დაავადებულს აღენიშნება ძლიერი ხველა მიკობაქტერიების შემცველი ნახველით, ფილტვებში აღე-



ნანა ცხაკაია

ნიშნება დიდი ინფილტრატი ანუ ღრუ, ცუდად ვენტილირდება ის ჰაერი, სადაც დაავადებული და ჯანმრთელი პირები იმყოფებიან, როცა არის ხშირი და ხანგრძლივი კონტაქტი, ბავშვის სუსტი იმუნური სტატუსი.

***– რას ნიშნავს ტუბერკულოზით ინფიცირება და ტუბერკულოზით დაავადება?***

– ეს სრულიად განსხვავებული ცნებებია. ამჟამად მსოფლიოს ერთი მესამედი ინფიცირებულია ტუბერკულოზის მიკობაქტერიით, თუმცა ნორმალური იმუნიტეტის მქონე ორგანიზმში დაავადება არ ვითარდება და პროცესი ამით ინფიცირების სტადიაზე მთავრდება.

ინფიცირება არის ინფექცია დაავადების კლინიკური ნიშნების, სიმპტომების, რენტგენოლოგიური ცვლილებებისა და ბაქტერიების გამოყოფის გარეშე. ასეთი ადამიანები არ გამოყოფენ მიკობაქტერიებს. ინფიცირების ანუ ლატენტური ინფექციის დროს ადამიანი არ არის ავად, არ აღენიშნება დაავადების არანაირი სიმპტომი, ორგანიზმში ინფექციის არსებობს ვლინდება მხოლოდ კანის პოზიტიური მანტუს ტესტით ან კვანტიფერონის ტესტით. ტუბერკულოზის ჩხირით ინფიცირებულთა უმრავლესობა 90 პროცენტი არ ავადდება ტუბერკულოზით, თუმცა შემთხვევათა 10 პროცენტში აქტიური ტუბერკულოზი ვითარდება. დაავადების განვითარების ყველაზე მაღალი რისკი ინფიცირებიდან პირველი 2 წლის განმავლობაშია, თუმცა უფრო დიდი დროის შემდეგაც არის შესაძლებელი.

***– როდის ვითარდება ეს დაავადება?***

– მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ინფიცირების შემდეგ დაავადების განვითარებას განაპირობებს, არის მიკობაქტერიების სიჭარბე, ადამიანის იმუნური სტატუსი და ავადმყოფის ასაკი.

დაავადება ადვილად ვითარდება დაქვეითებული იმუნიტეტის პირებში, იმუნოდეპრესანტებით, კორტიკოსტეროიდებით მკურნალობისას, დიაბეტის, თირკმლის უკმარისობის, ონკოლოგიური დაავადებების მქონე პირებში, ბავშვთა ინფექციური სნეულებების გადატანის შემდეგ, დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალურ ფაქტორებს, ცუდ საცხოვრებელ პირობებს, არასრულფასოვან კვებას და შიმშილს, ადამიანის იმუნოდეფიციტური ვირუსით ინფიცირებულ პირებს ტუბერკულოზის განვითარების რისკი 30-ჯერ მაღალი აქვთ. შიდსი და ტუბერკულოზი სასიკვდილო კომბინაციაა. შიდსით დაავადებული 30-40 პროცენტი ტუბერკულოზით კვდება.

## კალეიდოსკოპი



### ქალმა თავი რკინიგზის სადგურის ცოლად გამოაცხადა

ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ სან-დიეგოს მცხოვრები ქალბატონი ამტკიცებს, რომ „კანონიერი ქორწინება" გააფორმა სანტა-ფეს რკინიგზის სადგურთან.

45 წლის კეროლ სანტა-ფე ყოველდღე სტუმრობს რკინიგზის სადგურს, რათა დრო მასთან გაატაროს. ქალის თქმით, ის ამ შენობაზე ბავშვობიდანვე იყო შეყვარებული, თუმცა მასთან მხოლოდ ერთი წლის წინ დაქორწინდა.

– მე იქ დავდექი და წარმოვთქვი, რომ ის ჩემს პარტნიორად მომყავდა და ეს ყველაზე ბედნიერი მომენტი იყო ჩვენ ცხოვრებაში, – განაცხადა ქალმა.

ქალი ცდილობს, სხვებმა ვერ შენიშნონ, თუ რას აკეთებს. ის სადგურში დადის და ამით სიამოვნებას იღებს.

– როდესაც მას ვეხები, ვგრძნობ, რომ თითქოსდა ის მართლაც მეხება და მკოცნის. ვცდილობ, სადგურით ჩემი გატაცება დავმალო, რადგან არ მინდა, ამის შესახებ სხვებმა გაიგონ და მასთან შეხვედრები ამიკრძალონ, – ამბობს კეროლ სანტა-ფე.

ადამიანებს, რომლებიც უსულო ობიექტებით არიან გატაცებულნი, ობიექტოფილებს ან ობიექტოსექსუალებს უწოდებენ.

### კიმ კარდაშიანმა საკუთარი ქორწილის უცნობი სურათი გამოაქვეყნა



ამერიკელმა ტელევარსკვლავმა კიმ კარდაშიანმა რეპერ კანიე უესტთან თავის ქორწილის უცნობი ფოტოსურათი წარმოადგინა.

ფოტოსურათი საქორწინო ცერემონიის სამი წლისთავს მიეძღვნა.

– ვერ ვიჯერებ, რომ სამი წელი გავიდა, – განაცხადა კარდაშიანმა.

მისი თქმით, მან გადაწყვიტა გამოექვეყნებინა ფოტო, რომელიც საქორწინო კაბის მოსინჯვის დროსაა გადაღებული, რომელიც დიზაინერმა რიკარდო ტიშიმ შექმნა. სურათზე ასევე ჩანან კარდაშიანისა და უესტის ქალიშვილიც.

შეგახსენებთ, რომ კარდაშიანი და უესტი 2014 წელს ფლორენციაში დაქორწინდნენ. წინა საქორწინო ღონისძიებები კი დიზაინერ ვალენტინო გარავანის პარიზულ ბინასა და ვერსალში მიმდინარეობდა. იმავე წელს კარდაშიანისა და უესტის ქორწილის ფოტოსურათი ყველაზე პოპულარული გახდა ინსტაგრამის ისტორიაში.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა



### 80 წლის იუბილეს ვულოცავთ ბატონ ალექსი (ასიკო) თოხმახოვს

უბადლო პროფესიონალსა და საქართველოზე უზომოდ შეყვარებულ პიროვნებას!

ქ. მოსკოვსა და საბერძნეთის პრესტიჟულ რესტორნებში მრავალი ათეული წლის განმავლობაში შეფ-მზარეულად ნამუშევარმა კაცმა მიატოვა ხმელთაშუა ზღვის ლაჟვარდოვანი სანაპირო, ქართულ ყაიდაზე მოწყობილი დიდებული ეზო-კარი და დაუბრუნდა მშობლიურ წალკას, თრიალეთის თოვლიან მთებს, მის სათაყვანებელ ბეშთაშენს – „სად მამა-პაპა ეგულვის"...

მიუხედავად ასაკისა, ის დღემდე აგრძელებს საზოგადოებისთვის სიკეთის კეთებას.

დიდი ხნის სიცოცხლე, ჯანმრთელობა და სიხარული ვუსურვოთ ამ ახალგაზრდული შემართებით აღსავსე ამაგდარ ადამიანს მის მრავალრიცხოვან ოჯახთან ერთად.

*ბეშთაშენელები*

## ასტროპროგნოზი
### 1 ივნისისთვის



**ვერძი** – ოჯახის წევრებს თქვენი ყურადღება აკლიათ. სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. **კურო** – ყურადღებას ნუ მოადუნებთ, განსაკუთრებით – საქმიან ქაღალდებზე ხელმოწერისას. ბედი გწყალობთ. **ტყუპები** – საბოლოო გადაწყვეტილებას ნაჩქარევად ნუ მიიღებთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **კირჩხიბი** – იაქტიურეთ. პლანეტები გმფარველობენ. ნებისმიერ სფეროში სასიამოვნო ცვლილებები გელით. **ლომი** – ნუ იქნებით პრეტენზიული. ბედს მიენდეთ. გაითვალისწინეთ პარტნიორის ინტერესები. **ქალწული** – პირად ცხოვრებაში პატარა პრობლემა გაქვთ. ამის მიუხედავად, ვითარება თქვენ სასარგებლოდ წარიმართება. **სასწორი** – ყოველგვარი კაპიტალდაბანდებისაგან თავი შეიკავეთ. სამსახურში დაწინაურებას ელოდეთ. **მშვილდოსანი** – იღბალი თქვენ მხარესაა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, შესანიშნავად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **თხის რქა** – ენერგეტიკული აღმავლობის დღეა. შრომის ნაყოფიერება საგრძნობლად გეზრდებათ. სასიამოვნო ინფორმაციას ელოდეთ. **მერწყული** – კონკრეტული გეგმა შეადგინეთ და იმის მიხედვით იმოქმედეთ. გადაწყვეტილების მიღებამდე კარგად დაფიქრდით. **თევზები** – რთული საქმეების მოსაგვარებლად შესაფერისი დღეა. თუ რამეს ჩაიფიქრებთ, კიდეც შეასრულეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. სამონასტრო კომპლექსი კახეთში; 2. მათემატიკაში უცნობი სიდიდის აღმნიშვნელი ლათინური ანბანის ასო; 3. მუქი ფერის ბრიტანული ლუდი; 4. ქართული ავიაკომპანია; 5. ცეცხლსასროლი იარაღის ლულის ღრუს დიამეტრი; 7. სასტუმროების ქსელის მფლობელი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ფირმა; 11. ჩამოწოლილი ნისლი, ბურუსი; 12. შხამიანი გველი; 13. გერმანელი მწერალი, რომან „სამი მეგობარი"-ს ავტორი; 14. უძრავი ქონების დაგირავებით აღებული სესხი; 15. სათბურში გამოყვანილი მცენარის ნერგი; 17. სადაზღვევო მოწმობა; 19. ღვინის ჩამომსხმელი, მერიქიფე ქორწილში.

**თარაზულად:** 5. ნორვეგიის, დანიის, შვედეთის მეფეთა ტიტული; 6. ქუჩის სახელწოდება ძველად საქართველოში; 8. ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი გერმანიაში; 9. ფრანგული მინერალური წყალი; 10. დიდი სამგზავრო-სატრანსპორტო გემი; 11. ძვირფასი თვლებით შემკული თავსამკაული; 13. თეთრყურძნოვანი ვაზის გერმანული ჯიში; 14. ყველაზე გრძელი მდინარე აზიაში; 16. უძველესი ქართული სამეფო; 18. ურჩი, ჯიუტი ცხენი; 20. ფრანგი მოდელიორი; 21. რომელიმე ენის სიტყვათა მარაგი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ფინო"; 2. როვნო; 3. აქცია; 4. „ვოლვო"; 5. ლეკალო; 6. ნიჟარაძე; 8. ინვესტიცია; 10. გენეალოგია; 11. ბალახვანი; 14. მანილა; 15. ღადარი; 16. კამიუ.

**თარაზულად:** 1. ფსირცხა; 4. ვალტორნა; 7. ნაძვი; 9. „ტანგო"; 12. „ტოშიბა"; 13. კვოტა; 14. „მაგატე"; 17. ლიძავა; 18. მეგალომანია; 19. კაპრიზი; 20. გუმბაზი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ლაღიძე; 2. „მირაჟი"; 3. სმეტანა; 4. ჟინვალი; 5. სუფიქსი; 7. „ბორუსია"; 11. ჟესტი; 12. ჩონჩხი; 13. ვიმპელი; 14. „გლობუსი"; 15. ნისანი; 17. „აცტეკა"; 19. ჯიდა.

**თარაზულად:** 5. სანაცია; 6. კალმარო; 8. ჟირო; 9. ფარჩა; 10. ქაშერი; 11. ჟოლო; 13. ვაპორეტო; 14. გესლი; 16. რანჩო; 18. ჭუპრი; 20. სპიდვეი; 21. „ნესკაფე".

# აზერბაიჯანის საერთაშორისო კონკურსის ტრიუმფატორები ქართველი მომღერლები გახდნენ



აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსი „არტ ოლიმპია 2017“ ჩატარდა, რომლის ორგანიზატორი აზიზ აზიზოვია, სადაც ნიჭიერმა ბავშვებმა მოიყარეს თავი.

საკონკურსო პროგრამა მრავალი ჟანრით იყო წარმოდგენილი – საორკესტრო, ქორეოგრაფიული, საესტრადო და კლასიკური ვოკალი.

საესტრადო ვოკალური ჟანრის უმცროს ასაკობრივ ჯგუფში მონაწილეობდნენ პატარა ქართველი სოლისტები, 5 წლის ანიტა ჯაოშვილი და 7 წლის ნანუკა შუბითიძე, რომლებმაც დიდ წარმატებას მიაღწიეს.

ანიტამ და ნანუკამ კონკურსზე მათი ხელმძღვანელის, კომპოზიტორ ნიკოლოზ თითირაშვილის სიმღერები „მგალობელი ჩიტი“ და „ნანა“ შეასრულეს. სიმღერების არანჟირებაზე ნიჭიერმა მუსიკოსმა ჯონდო თითირაშვილმა იმუშავა, რომელიც ამჟამად ლოს ანჟელესში მოღვაწეობს და წერს მუსიკას ფილმებისთვის.

ანიტა კონკურსის ყველაზე პატარა მონაწილე იყო, რომელმაც ჟიურის სიმპათია და მე-3 საპრიზო ადგილი დაიმსახურა, ნანუკამ კი, რომელიც ეროვნულ სამოსში გამოწყობილი აკვანთან ერთად წარდგა ჟიურისა და მაყურებლის წინაშე, უმაღლესი ჯილდო – პირველი ადგილი მოიპოვა. სიმღერა „ნანა“ ჟიურიმ საუკეთესო საბავშვო სიმღერად აღიარა და ავტორის მიმართ საქებარი სიტყვები და აპლოდისმენტები არ დაიშურა.

# ოთო ღურწკაია: „ყველანაირი კომფორტი მქონდა შექმნილი იმისთვის, რომ ცუდად გამოვსულიყავი“



მომღერალი ოთო ღურწკაია პირველი კონკურსანტი აღმოჩნდა, რომელმაც „იქს ფაქტორი“ დატოვა. მისი ბედი გიორგი გაბუნიამ გადაწყვიტა და ოთოსა და სოფო საჟინიანს შორის შანსი სწორედ სოფოს მისცა. გიორგის გადაწყვეტილებამ საზოგადოებაში დიდი კრიტიკა გამოიწვია. როგორც მსმენელმა განაცხადა, ოთოს პროექტიდან გაშვებით კონკურსანტებს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი კონკურენტი ჩამოშორდათ.

„იქს ფაქტორის“ დატოვების შემდეგ მოკლე კომენტარი თავად ოთო ღურწკაიამაც გააკეთა:

– პირველი შემთხვევაა, როდესაც ჩემი შესრულებით საშინლად უკმაყოფილო ვარ. ბოდიში ყველას, ვისი იმედებიც ვერ გავამართლე, უბრალოდ ყველანაირი კომფორტი მქონდა შექმნილი იმისთვის, რომ ცუდად გამოვსულიყავი, რა სახის დისკომფორტი იყო ეს, კონკრეტულად ამაზე ვერ ვილაპარაკებ, იმიტომ, რომ ჩემს სტილში არ ჯდება.

ვინც იზიარებთ ჩემს გრძნობებს, გმადლობთ... არ მოვმკვდარვარ... ჩემში მუსიკა არსებობდა, არსებობს და იარსებებს სიცოცხლის ბოლომდე.

# გურამ დოჩანაშვილი საჯარო ლექციას გამართავს




კლასიკოსი მწერალი, თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ქართველი შემოქმედი გურამ დოჩანაშვილი საჯარო ლექციას გამართავს. 5 ივნისს ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში შეკრებილ მკითხველს მწერალი ესაუბრება თემაზე „გურამ დოჩანაშვილის ცხოვრება და შემოქმედება – საუბარი ლიტერატურაზე“.

თანამედროვე ქართველი კლასიკოსი მწერლისა და თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ქართველი შემოქმედის გურამ დოჩანაშვილის შემოქმედების მთავარი თემებია სიყვარული, სიკეთე, შეუპოვარი ბრძოლა ბოროტების წინააღმდეგ და თავისუფლებისკენ სწრაფვა.

გურამ დოჩანაშვილის შემოქმედება თარგმნილია მრავალ ენაზე, მისი ნაწარმოებები საფუძვლად დაედო ცნობილ კინოფილმებსა და ტელესპექტაკლებს. საჯარო ლექცია შეეხება მის ცხოვრებასა და შემოქმედებას. საჯარო ლექცია გათვალისწინებულია როგორც სტუდენტებისა და ლექტორ-მასწავლებლებისათვის, ასევე საზოგადოების ფართო წრეებისათვის.

# ელტონ ჯონი საქართველოში კონცერტს გამართავს




მსოფლიო მეგა ვარსკვლავი, ბრიტანელი მუსიკოსი ელტონ ჯონი საქართველოში ჩამოვა და კონცერტს გამართავს.

16 სექტემბერს ელტონ ჯონი და მისი მუსიკოსები ბლექ სი არენაზე მსოფლიო ტურნეს ფარგლებში ეწვევიან. ელტონ ჯონი 2017 წლის ტურნეს „ლამაზი გიჟი ღამე“ ტურის ფარგლებში, საქართველოს პირველად ეწვევა.

მომღერალი საქართველოში კომპანია „ისთერნ პრომოუშენს“ ჩამოყავს. მომღერალი ქართველი მსმენელისთვის იმღერებს როგორც ცნობილ ჰიტებს, ასევე სიმღერებს ბოლოს სტუდიური ალბომიდან „ლამაზი გიჟი ღამე“. „ლამაზი გიჟი ღამე“ მომღერლის რიგით 33-ე ალბომია და ის ელტონ ჯონმა შარშან გამოუშვა.

მომღერლის ანგარიშზეა 250 მილიონზე მეტი გაყიდული ჩანაწერი და მსოფლიოს 80-ზე მეტ ქვეყანაში ჩატარებული 4000-ზე მეტი წარმოდგენა. ელტონ ჯონი ნახევარ საუკუნეზე მეტია მუსიკალურ ინდუსტრიაშია და მას არაერთი ჯილდო აქვს მიღებული, მათ შორის 6 გრემი, ოსკარი, ოქროს გლობუსი, 4 ბრიტანული მუსიკის ჯილდო...

ბლექ სი არენაზე დაგეგმილ ელტონ ჯონის კონცერტზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა 25 ივნისს დაიწყება და მისი ფასი 150 ლარიდან იქნება.

# ქედისუბნის მთავარანგელოზის ეკლესიას საფრთხე აღარ ემუქრება




ამბროლაურის რაიონში სოფელ ქედისუბანში მდებარე მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიას საფრთხე აღარ ემუქრება.

ტაძარი მნიშვნელოვნად იყო დაზიანებული და სარეაბილიტაციო სამუშაოებს საჭიროებდა. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდთან ერთად, ქედისუბნის მთავარანგელოზის ეკლესიის გადარჩენისა და რეაბილიტაციის სამუშაოები ჩაატარა, რის შედეგადაც გადაეწყო გამოქარული და მორყეული კედლის წყობები, მოეწყო ანტისეისმური სარტყელი ტაძრის პერიმეტრზე, სახურავზე მოეწყო ხის კონსტრუქციები და დაიფარა ანტიკოროზიული საღებავით, აღდგა საპირე წყობა ფასადებზე, გადაეწყო ცოკოლის საფეხური ტაძრის პერიმეტრზე, იატაკი მოპირკეთდა კირქვის ფილებით კირის ხსნარზე, სახურავი მოეწყო რუხი ფერის თუნუქით, დამონტაჟდა ხე-ლითონის კარი მაგარი ჯიშის ხისგან.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## სპორტი

# გვარდიოლას სანჩისთან მუშაობის გაგრძელების სურვილი გაუჩნდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

შირებით მუშაობა უკვე დაიწყეს, თუმცა ოფიციალური განცხადება ჯერ არ გაკეთებულა.

ამ ტრანსფერში ბაიერნს კონკურენტები ისედაც არ აკლდა, ახლა კი მათ რიგებს მანჩესტერ სიტიც დაემატა. პეპ გვარდიოლას მარცხენა ვინგერის პოზიციაზე ახალგაზრდა გერმანელი ლეროი სანე ჰყავს, რომელიც გასულ სეზონში არასტაბილური თამაშით გამოირჩა.

ასეთი ფეხბურთელებით დიდ ტურნირებზე წარმატების მიღწევა კი არცთუ ისე მარტივია, სწორედ ამ მიზეზით კატალონიელმა სპეციალისტმა თვალი დაადგა იმ მოთამაშეს, რომელიც თავის პოზიციაზე ერთ-ერთი საუკეთესოა.

საინტერესოა ისიც, რომ ალექსისი გარკვეული პერიოდის განმავლობაში ბარსელონაში პეპ გვარდიოლას მოღვაწეობის დროს თამაშობდა და უნდა ითქვას, რომ ესპანელ სპეციალისტს სანჩისის ჩამოყალიბებაში უდიდესი წვრილი მიუძღვის.

სწორედ გვარდიოლას მიერ გაწვრთნილ ბარსელონაში მიეცა სანჩისს იმის შესაძლებლობა, რომ საკუთარი ძალები ფართო საზოგადოებისთვის წარმოეჩინა და, რაც მთავარია, მიელო გამოცდილება ისეთ დიდ ტურნირზე, როგორიც ჩემპიონთა ლიგაა.

# კახა კალაძე: საკლუბო დონეზე ყველაფერს მივაღწიეთ, სანაკრებოზე გული მწყდება

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ვიჩი ბელორუსიდან და დანარჩენი ყველა უკრაინიდან იყო. ნახევარფინალში ბაიერნს შევხვდით და ლობანოვსკიმ ტაქტიკურად ძალიან ბევრი გვამუშავა, პირველ რიგში კი უმკაცრესად მოითხოვდა დისციპლინას. ვამაყობ, რომ მქონდა შესაძლებლობა, მემუშავა ამ დონის მწვრთნელთან. თუ დააკვირდებით თამაშს, ნახავდით, რომ ჩვენ პირველივე წუთებიდან პრესინგს ვთამაშობდით. კიევში ცენტრალური მცველი ჩამოვედი და საბოლოოდ, უნივერსალი ფეხბურთელი გავხდი. შემეძლო მეთამაშა მარცხენა მცველად და ასევე, მარცხენა ნახევარმცველადაც. დღევანდელ ფეხბურთში ეს ფუნქცია ძალიან ფასობს, თუ რამდენ პოზიციაზე შეგიძლია იყო სასარგებლო გუნდისთვის.

***– გახსოვს ის მომენტი, როდესაც გითხრეს, რომ ლობანოვსკი ცუდად იყო?***

– დიახ და იმ დროს თამაში გვქონდა. გადაფრენა ვერ მოვახერხე. მითხრეს, რომ კომაში იყო და, სამწუხაროდ, მე-2 დღეს გარდაიცვალა. შევჩენკო წავიდა. ჩემპიონთა ლიგაზე ვთამაშობდით და ანდრეის დისკვალიფიკაცია ჰქონდა, მაინც ვერ ითამაშებდა, მე არ გამიშვეს.

***– ბოლოს დიდი ხნის წინ შეხვდი შევჩენკოს?***

– ახლახან. უკრაინაში საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ერთად ოფიციალური ვიზიტით ჩამოვედი და სწორედ მაშინ ვნახე.

***– აღნიშნეთ თქვენი შეხვედრა?***

– ალკოჰოლი? მე არ ვსვამ, ხოლო შევჩენკოსი არ ვიცი. შეუძლებელი იყო, მილანში ერთად სადმე დაგველია. მისი მთავარი პლუსი უზომოდ შრომისმოყვარეობა იყო. უდიდესი ტალანტი ჰქონდა. სამწუხაროდ, ბევრ ფეხბურთელს აქვს ვარსკვლავური დაავადება. როდესაც ისინი მცირე წარმატებას მიაღწევენ, მათი კარიერას იმის იქეთ ვეღარ მიდის. შევჩენკოს ეს პრობლემა არასდროს ჰქონია. ევროპაში საუკეთესო ფეხბურთელი იყო, სერია ა-ს ბომბარდირიც რამდენჯერმე გახდა და მეფედ აღიარებდნენ.

***– რატომ არ გადახვედი ჩელსიში, შევჩენკოსთან ერთად?***

– ფაქტია, რომ მოლაპარაკებები აბრამოვიჩთან იყო და ყველაფერზე შევთანხმდით, თუმცა მან არ გააფორმა კონტრაქტი და დავბრუნდი. მადლობა ღმერთს, ეს მოხდა. მილანში 5-წლიანი კონტრაქტი შემომთავაზეს და მომდევნო წლებში ჩემპიონთა ლიგის ფინალში სამჯერ გავედით. მოვიგეთ ორჯერ. ანდრეიმ მხოლოდ ერთხელ, გამიმართლა, რომ მასთან ერთად ინგლისში არ წავედი.

***– განიხილე ანდრეისთან ეს ტრანსფერი?***

– არა, ანდრეი უკვე დიდი კაცი იყო და გადაწყვეტილება თავად მიიღო. ყველამ პატივი ვეცით მის გადაწყვეტილებას, მიუხედავად იმისა, რომ დღემდე ვფიქრობ, ჩელსიში მისი გადასვლა არასწორი იყო. ჩემთვის, რა თქმა უნდა, არასასიამოვნო იყო მისი ლონდონურ კლუბში ხილვა.

***– იტალიაში ახლაც გცნობენ?***

– დიახ და ქუჩაში ერთმანეთს სასიამოვნოდ ვესალმებით. მილანის გულშემატკივრები პატივს ახლაც მცემენ, თუმცა ინტერის არა, მაგრამ პრობლემა ამასთან არასდროს მქონია.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# სამგლოვიარო განცხადებები

თანაკურსელები აკაკი ზუმაძე, იური შანავა, შადურ შუკვანი, ბეჟან დახუნდარიძე მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის

**ალექსანდრე ნეკრესელის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

# პროგრამა

**ხუთშაბათი 1 ივნისი**

**07.00** დოკ/ფ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" **08.00** "ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" **09.00** "მოამბე დილას" **10.00** "პირადი ექიმი" **11.00** დოკ/ფ "მოდა და რევოლუცია" **12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "ტელემანი" **12.45** "კაცების დრო" **13.50** "დღე მუზეუმში" **14.20** "სიტყვების თამაში" **15.00, 03.30** "C სტუდია" **16.15** "ეკონომეტრი" **16.30** "ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ" **17.00** "რეალური სივრცე" **18.30** "ხანმოკლე XX საუკუნე" **19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** ტ/სერ. "**ველვეტი**" **22.00** "ინტერვიუ სალომე ასათიანთან" **22.30** "ვექტორი" **23.00** "უცნობი მუსიკა" **00.30** მხ/ფ "**მინი და მასკოვიცი**"

**08.00** დოკ/ფ "პატარა და მომთაბარე ტომები და პოლარული სიცივე" **09.00** დოკ/ფ "სპუტნიკის წლები" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** დოკ/ფ "სონია რაკელი" **11.05** დოკ/ფ "ტვინი სარკეში" **12.00, 22.00** ტ/სერ. "**კედრის ყურე**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დოკ/ფ "ამფორების გზა" **15.00, 18.00, 20.40** "ბრიფინგის დრო" **17.00** დოკ/ფ "კოდის კონცხი" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" " I არხთან პარალელურ რეჟიმში !!! " **21.00** "არგუმენტების დრო" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.00** "ნამდვილი დრო" **00.30** ტ/სერ. "**კატერინა და მისი ქალიშვილები**"

**05.50, 14.40** სერ. "**ელიფი**" **07.30** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.00** ქრონიკა **08.20, 09.20** იმედის დილა (გაგრძელება) **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.50, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **23.30** სპორტი იმედზე დიმიტრი ობოლაძესთან ერთად **00.30** მხ/ფ "**ოპერაცია დელტა 2**" **02.20** მხ/ფ "**შავი გველი**" **04.15** მხ/ფ "**გენერლის ქალიშვილი**"

**06.00, 18.30** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **06.45** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ყველაზე ლამაზი**" **15.30** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**დაკარგული წლები**" **19.57** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **22.00** პროფილი **23.30** დოკ/ფ "სალომეს ანბანი"

**08.00** ან/სერ. ავატარი **09.00, 13.00** სერ. "**შავი კოდი**" **11.00, 17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **15.00** სერ. "**ანტიმაფია**" **19.00** სერ. "**გაზოროტებული**" **21.00** სერ. "**ანგარიშსწორება**" **22.30** მხ/ფ "**ბეტმენი დასაწყისი**" **01.00** მხ/ფ "**შავი რაინდი**"

**06.15** ქრისტიანული სწავლება **06.40** პატერიკი-გლახაკთათვის გამლები მრავალწილად მიიღებს **06.45** საუკუნის პორტრეტები-"კირიონ II" **07.25** ქართული ალბომი **07.50** სამყაროს შექმნა **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან-"სერაფიტი" **10.40** საღვთისმეტყველო საუბრები **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**თოჯინები იცინიან**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.00** ბავშვები მუზეუმში **14.55** შვიდგზის ლოცვა **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.05** ქართული ანიმაციური ფილმი **15.25** ტრაპეზი "კიტრის და პომიდვრის სალათი, ხბოს კუჭმაჭი" **15.35** დ/ფ "ველური ბუნება"-აფრიკა **16.00** კონცერტი **16.25** ქრისტიანული ხელოვნება "რელიეფის ხელოვნება" **17.30** ჩვენი ფონდი **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**შერეკილები**" **20.40** ძილი ნებისა "წუნა და წრუწუნა" **20.55** შვიდგზის ლოცვა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.15** წმინდანები-"წმინდა მოციქულთა სწორი ნინო" **22.20** ჩვენი საგანძური "ყანჩაეთის სავანე" **22.40** ივერიის ეკლესია "მოციქულთა ქადაგებიდან წმინდა ნინომდე" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.40** ღვთის სახლი "თილვა" **00.25** დ/ფ "ილია II" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

**მაესტრო** **7.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "მაშა და დათვი" **8.15** დოკ/ფ "კაცი,ქალი,ბუნება" **9.00** სერ. "**ორი გული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 2.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30, 18.50, 20.55** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.50** თოქ-შოუ "ცეცხლის ხაზი" **22.50** სერ. "**ესკობარი**" **0.00** "კონტაქტი" **0.30** სერ. "**პაემანი**" **2.00** "კონტაქტი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


1 ივნისისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.4256 | ევრო — 2.713 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.115 | 100 რუსული რუბლი — 4.2947 |

## ამინდის პროგნოზი 1 ივნისისთვის





1 ივნისიდან




ონორე დე ბალზაკი
**გამქრალი ოცნებანი**
წიგნი I

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

8 ივნისიდან




ონორე დე ბალზაკი
**გამქრალი ოცნებანი**
წიგნი II

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი


## ნიკოლოზ ბასილაშვილი როლან გაროსის მესამე წრეში რაფაელ ნადალს შეხვდება



როლან გაროსის მეორე წრეში ნიკოლოზ ბასილაშვილმა სერბი ვიქტორ ტროიცკი დაამარცხა სამ სეტში, ანგარიშით 7:6, 7:6, 7:6 და მესამე წრეში გავიდა. შეხვედრა ძალიან დაძაბული გამოდგა და სამივე სეტის ბედი ტაი ბრეიკზე გადაწყდა, სადაც სამივეჯერ ქართველმა ჩოგბურთელმა იმარჯვა.

ამრიგად, ბასილაშვილმა გაიმეორა თავისი ორი წლის წინანდელი წარმატება, როდესაც ის უიმბლდონის მესამე წრეში გავიდა. ბასილაშვილი ბოლო პერიოდში ძალიან კარგ ფორმაშია, ამიტომ როლან გაროსზე მისი ასეთი გამოსვლა გასაკვირი არ არის.

მესამე წრეში ბასილაშვილის მეტოქე როლან გაროსის 9 გზის გამარჯვებული რაფაელ ნადალი იქნება.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## გვარდიოლას სანჩისთან მუშაობის გაგრძელების სურვილი გაუჩნდა



როგორც ჩანს, მომავალ სატრანსფერო ბაზარზე კლუბებისთვის ერთ-ერთი მთავარი სამიზნე ლონდონის არსენალის ჩილელი ვინგერი ალექსის სანჩისი იქნება. არსებობდა მოსაზრება, რომლის თანახმადაც, მომავალ სატრანსფერო ფანჯარაზე ბავარიული კლუბის მთავარი შენაძენი სანჩისი უნდა ყოფილიყო. თუმცა, როგორც ჩანს, ლონდონის არსენალის ლიდერით პეპ გვარდიოლაც სერიოზულადაა დაინტერესებული.

არავისთვისაა საიდუმლო, რომ კატალონიელი სპეციალისტი მომავალი სეზონისთვის სერიოზულად მომზადებას აპირებს, შესაბამისად უნდა ვივარაუდოთ, რომ მანჩესტერული კლუბი სატრანსფერო ფანჯარაზე ძალიან იაქტიურებს და შესაბამისად დიდ ფულსაც დახარჯავს.

პეპს უკვე მონიშნული ჰყავს ფეხბურთელთა გარკვეული კატეგორია, რომელთა გადმობირებაზე სიტის ხელმძღვანელობამ სერიოზული სამუშაოები უნდა ჩაატაროს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად კი, ერთ-ერთი ასეთი მოთამაშე ალექსის სანჩესია.

ცნობილია, რომ ჩილელი ვინგერის მიმართ სერიოზულ ინტერესს იჩენს მიუნხენის ბაიერნიც, მიუხედავად იმისა, რომ არსენალს ალექსისის შენარჩუნება ძალიან სურს, ბავარიული კლუბის ხელმძღვანელებმა ალნიშნულ ტრანსფერთან დაკავ-


გაგრძელება მე-11 გვერდზე


## იუმორი



ბიოლოგიის მასწავლებელი ბავშვებს ამოცანის გამოცნობას სთავაზობს.

პირველი გამოცანა:

– ორი ფეხი აქვს, ბუმბულითაა დაფარული და წყალში კარგად დაცურავს?

მარინა პასუხობს:

– იხვი, მასწავლებელო.

– ყოჩაღ! მაგრამ მე გედი ვიგულისხმე.

მეორე გამოცანა:

– ოთხი ფეხი აქვს, ბალახს ჭამს, მდელოზე დგას?

ლალი პასუხობს:

– ცხენი.

– ყოჩაღ! მაგრამ მე ძროხა ვიგულისხმე.

ამ დროს ბოლო რიგიდან გიგი ხელს იწევს და მასწავლებელს ეუბნება:

– მეც მოვიფიქრე ერთი ამოცანა.

– მიდი, გვითხარი.

– სანამ გამოვიყენებთ მშრალი და მაგარია, ხოლო გამოყენების შემდეგ რბილი და სველი. რა არის?

სახე აწითლებულმა მასწავლებელმა თავში წაუთაქა და მიაძახა:

– უზრდელო.

– ცუდი არ არის! თუმცა მე ჩაის ერთჯერადი პაკეტი ვიგულისხმე!

●●●

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– ჩვენ სახლში „რემონტი“ გვაქვს.

– მართლა და რითი დაიწყეთ?

– ლანძღვა-გინებით.

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– გუშინ პირველად წავიყვანე ქმარს სათევზაოდ და საშინლად ვიჩხუბეთ.

– და, რა მოხდა?

– თავიდან მეტისმეტად ხმამაღლა ვლაპარაკობდი და ქმარს მთელი თევზი დავუფრთხე. შემდეგ ნემსკავზე არასწორად ვაგებდი სატყუარას და ბოლოს ყველაფერი იმით დასრულდა, რომ მე ჩემ ქმარზე ბევრად მეტი თევზი დავიჭირე.

●●●

გვიან ღამით კარზე კაკუნის ხმა გაისმა. შეშფოთებული ქალის ხმა კითხულობს:

– ვინ არის?

– გოგი ვარ!

– ისევ ათასი სისაძაგლე უნდა მითხრა და ხელების ფათური დამიწყო?

– რა თქმა უნდა!

– ერთ წუთს დამელოდეთ, ხალათს მოვიცვამ და კარს გავაღებ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.






23 მაისიდან

ლაშა იმედაშვილი
ქართული დეტექტივი ტომი 13
**სამი მკვლელობა ძველ თბილისში**
**პატრიარქის ზაფხული**

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი


## რიად მარეზს ლესტერიდან წასვლა სურს



ლესტერის ალჟირელ ფეხბურთელ რიად მარეზს ლესტერიდან წასვლა სურს. ამის შესახებ თვითონ მარეზმა ისაუბრა.

– ლესტერში ძალიან ბედნიერი წლები გავატარე და სიცოცხლის ბოლომდე ამ გუნდის მადლიერი ვიქნები, რადგან ლესტერმა მომცა ის ყველაფერი, რაც მაქვს, მაგრამ ახლა ცვლილებების დროა და პატიოსნად ვამბობ, რომ სხვა გუნდში მსურს კარიერის გაგრძელება. იმედია, ჩემს გადაწყვეტილებას გულშემატკივრები გაგებით მოეკიდებიან, – განაცხადა რიად მარეზმა.

შარშან მარეზს ჰქონდა შანსი ლესტერიდან წასულიყო, მაგრამ მაშინ ალჟირელმა დარჩენა ამჯობინა, წელს კი როგორც ჩანს მან აზრი შეიცვალა. მარეზი შესაძლოა არსენალში ვიხილოთ.

## დე ხეა მანჩესტერ იუნაიტედიდან წასვლას არ აპირებს



მანჩესტერ იუნაიტედის ესპანელი გოლკიპერი დავიდ დე ხეა სხვა გუნდში გადასვლას არ აპირებს. ამის შესახებ მან ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა, სადაც მას მომავალ კლუბზე დაუსვეს შეკითხვა.

დე ხეას თქმით, ის ბედნიერია მანჩესტერში და თავის მომავალს სწორედ ამ გუნდს უკავშირებს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ მანჩესტერი მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს.

დე ხეას რეალში ტრანსფერზე ხშირად საუბრობენ, მაგრამ ესპანელი მეკარე ისევ ინგლისში გააგრძელებს კარიერას.

დე ხეა რეალში გადასვლასთან ახლოს იყო 2015 წელს, მაგრამ მაშინ მისი ტრანსფერი ტექნიკური მიზეზების გამო არ შედგა.

## დანი კარვახალი ფინალში ითამაშებს

მადრიდის რეალის მცველმა დანი კარვახალმა ტრავმა ბოლომდე მოიშუშა და ჩემპიონთა ლიგის ფინალს სრულ მზადყოფნაში ხვდება. კარვახალმა განაცხადა, რომ



მზად არის ფინალისთვის როგორც მორალურად, ასევე ფიზიკურად.

კარვახალმა ტრავმა აპრილის ბოლოს მიიღო და არსებობდა იმის შესაძლებლობა, რომ მას ფინალში არ ეთამაშა, თუმცა რეალისთვის საბედნიეროდ ეს ასე არ მოხდა.

კარვახალი 2013 წლიდან თამაშობს რეალში და ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია, რომელიც ძალიან ეფექტურია დაცვაშიც და შეტევის წინა ხაზზეც.

ჩემპიონთა ლიგის ფინალი 3 ივნისს, კარდიფში გაიმართება და რეალის მეტოქე იტალიური იუვენტუსია.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. იაპონური ურითმო ლექსი; 2. პატარა ხის სახლი ჩინეთში; 3. ყველაზე გრძელი მდინარე აზიაში; 4. ბრინჯისგან მომზადებული კერძი; 5. არქიტექტურული პროექტის, ნახატის, წინასწარი მონახაზი; 6. საახალწლო ტკბილეული; 8. რაიმეს თანდათანობითი გაუარესება, დაქვეითება; 10. ქურდობისადმი ავადმყოფური მიდრეკილების მქონე ადამიანი; 11. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 14. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 15. ქერისგან მომზადებული უალკოჰოლო-გამაგრილებელი სასმელი; 16. ფლიდი, ფარისეველი ადამიანი.

**თარაზულად:** 1. უბანი ძველ თბილისში; 4. ინგლისელი მწერალი, ჯეიმს ბონდის პერსონაჟის შემქმნელი; 7. ფრანგი ფიზიკოსი, თერმოდინამიკის ფუძემდებელი; 9. გასართობი, სანახაობითი დაწესებულება; 12. ქართველი მეცნიერი, ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებელი; 13. ღვინის, ვაზის პატივსაცემი რიტუალი ძველად საქართველოში; 14. დიდგვაროვანთა მემკვიდრეობითი ტიტული ესპანეთში; 17. მოყვითალო სურნელოვანი ყვავილების მქონე ფოთლოვანი ხე; 18. გეომეტრიის ნაწილი; 19. საარტილერიო ქვემეხის ერთ-ერთი სახეობა; 20. მთვარიანი ღამე.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

